# საქართველოს რესპუბლიკა

www.sakresp.ge




იმისთანა ჩმინდა საქმეში, რიგიერიც ბეჭდვეული სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბეჭთის გაფანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.


პარასკევი, 25 ნოემბერი. 2016 წ. №220 (8111), გამოცემის 98-ე წელი | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 50 თეთრი.


# ძაღლი ყეფს, ქარავანი მიდის!..

**27 პარლამენტარი ნაციონალის ერთადერთი მთავარი ტაქტიკა და სტრატეგიაა უმრავლესობის ფუჭ რიტორიკულ კამათში აყოლიება და პარლამენტის სალაყბოდ გადაქცევა, რათა უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოს თავისი უპირველესი დანიშნულების შესრულების საშუალება არ მისცეს.**

„ოცნებას“ ამის წინა ოთხი წლის მწარე გამოცდილება უკვე აქვს. იმედია, „ოცნების“ უმრავლესობა მომავალ ოთხ წელიწადს წინასაარჩევნო დაპირებების გარდაუვალ ხორცშესხმას მოანდომებს და ოთხივე წელიწადს ძველი, მაგრამ მარადიულად ბრძნული პრინციპით იმუშავებს:

**ძაღლი ყეფს, ქარავანი მიდის!..**

ეს იმ კეთილგონიერ ამომრჩეველთა მტკიცე მოთხოვნაა, რომელთაც ქვეყნის აღმშენებლობის იმედით კიდევ ოთხი წლით ესოდენ დიდი ნდობა გამოუცხადეს „ქართულ ოცნებას“...


იხ. 2-3 გვ.


ხელისუფლების საყურადღებოდ!

**ომარ მარგველაშვილი:**

# პატრიარქის სურვილი უნდა აღსრულდეს!

5

# ნიკა და ნიკიტები იმუქრებიან...


3


# თეა წულუკიანი წიგნს კითხულობდა, ელენე ხოშტარია პლეხანოვზე ძველბიჭობდა!

**პარლამენტის** **რამდენიმე კომიტეტის გაერთიანებულ სხდომაზე, „ნაცმოძრაობის“ დეპუტატი ელენე ხოშტარია „რუსთავი-2“-ის საკითხზე იუსტიციის მინისტრობის კანდიდატ თეა წულუკიანის მიერ გაკეთებული განცხადებებით დაინტერესდა.** წულუკიანი აცხადებს, რომ ნაცმოძრაობის წევრების კითხვებზე სერიოზული პასუხების გაცემა უჭირს.

**„გილოცავთ, რომ მავანს გაემიჯნეთ, რომელიც საქართველოსთან კავშირის დამყარებას გვირაბის მეშვეობით აპირებდა. თქვენს კითხვებზე სერიოზული პასუხის გაცემა მიჭირს, ბავშვობაში არც „ძველბიჭობაში“ გეჯიბრებოდით, მაშინ წიგნს ვკითხულობდი. როცა მე წიგნს ვკითხულობდი, თქვენ პლეხანოვზე „ძველბიჭობდით“. გისამძიმრებთ, რომ სანდრო გირგვლიანის მეგობარი მანდ ზიხართ. თქვენ ხართ ადამიანი, რომელმაც ირინა ენუქიძის ხსოვნას უღალატა და ოთარ კახიძის გვერდით ზის. ქალბატონო ეკა, მიეჩვიეთ, ეს „ძველბიჭობის“ დაწყებაა“,** — მიმართა წულუკიანმა ელენე ხოშტარიას.

# ოკუპაციაც, ანექსიაც!

## ანუ ჩაწიხლული საქართველო...


8


**ყირიმი, სოხუმი, ცხინვალი – გიუმრის ბაზის მიბმის პერსპექტივით!**

# აშშ-ის სასიცოცხლო ინტერესები საქართველოში


მაგთიკომი
MAGTICOM


# ტეხურის ნაპირებიდან – მსოფლიო არქიტექტორთა თანავარსკვლავედში


4

## მინისტრობის კანდიდატებს პარლამენტის ოთხმა კომიტეტმა მხარი დაუჭირა

მინისტრობის კანდიდატებს პარლამენტის ოთხმა კომიტეტმა ფარული კენჭისყრით მხარი დაუჭირა. შედეგები ასეთია:

**იურიდიულ საკითხთა კომიტეტი — 10 მომხრე, 2 — წინააღმდეგი.**

**ადამიანის უფლებათა კომიტეტი — 10 მომხრე, 1 — წინააღმდეგი.**

**საპროცედურო საკითხთა და წესების კომიტეტი — 7 მომხრე, 0 წინააღმდეგი, 3-მა კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო.**

**თავდაცვის და უშიშროების კომიტეტი — 11 მომხრე, 4 — წინააღმდეგი.**

მინისტრობის კანდიდატებს სხვა კომიტეტებში კვლავ უსმენენ. ხვალ განხილვები ფრაქციების და უმრავლესობა-უმცირესობის ფორმატში გაგრძელდება. რიგგარეშე სესია, სადაც მთავრობას ნდობა უნდა გამოუცხადონ, შაბათს, 12:00-ზე გაიხსნება.

## წვევამდელთა სისტემა არა ვალდებულება, არამედ სამშობლოს დაცვის ნება უნდა გახდეს!

პარლამენტის რამდენიმე კომიტეტის სხდომაზე თავდაცვის მინისტრობის კანდიდატმა ლევან იზორიამ წვევამდელთა და რეზერვის სისტემაზე ისაუბრა და აღნიშნა, რომ ამ თვალსაზრისით, უწყებამ რამდენიმე ქვეყნის გამოცდილება განიხილა.

**„პატარა ერების გამოცდილება შევისწავლეთ, რომლებიც ცდილობენ, რომ ტოტალური ჩართულობა იყოს თავდაცვის სისტემაში. ჩვენთვისაც მნიშვნელოვანია, რომ ერთგვარი აქტიურობა იყოს. ახალი სისტემით, წვევამდელი იგივე მომზადების კურს გაივლის, როგორსაც საკონტრაქტო მოსამსახურე გადიოდა. ეს ერთგვარი მოტივაცია იქნება იმისა, რომ წვევამდელმა ჯარში მსახური გააგრძელოს. მათ ასევე, შესაძლებლობას ვაძლევთ, რომ უქმე დღეები გამოიყენონ. მათ ფინანსური ანაზღაურებაც ექნებათ“,** — განაცხადა იზორიამ. მისივე შეფასებით, წვევამდელთა სისტემა არა ვალდებულება, არამედ სამშობლოს დაცვის ნება უნდა გახდეს.

## სამხედრო ძალების რაოდენობა იგივე რჩება!

**საქართველოს პრეზიდენტის საპარლამენტო მდივანმა ანა დოლიძემ პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტს საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭოს წარდგინება გააცნო, რომელიც „2017 წლისათვის საქართველოს სამხედრო ძალების რაოდენობის დამტკიცებას“ შეეხება.**

საქართველოს პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტმა მხარი დაუჭირა საქართველოს უშიშროების საბჭოს გადაწყვეტილებას, რომ 2017 წელს სამხედრო ძალების რაოდენობა განისაზღვროს არაუმეტეს 37000 ადამიანისა.

**„მომვალ წელს სამხედრო ძალების რაოდენობა იგივე რჩება, რაც წელს იყო. შესაბამისად, მოხარულები ვართ, რომ ეს გადაწყვეტილება კომიტეტმა მიიღო და ჩვენი სამხედრო ძალები ფუნქციონირებას უკეთ გააგრძელებენ“,** — განაცხადა ანა დოლიძემ.

## გენშტაბის უფროსის მოადგილეებად ნიკოლოზ ჯანჯღავა, ზაზა ჩხაიძე და შალვა ჯაბახიძე დაინიშნენ

**საქართველოს შეიარაღებული ძალების გენშტაბის უფროსმა ვლადიმერ ჩაჩიბაიამ თავისი მოადგილეები წარადგინა.**

გენშტაბის უფროსის პირველი მოადგილე იქნება პოლკოვნიკი ნიკოლოზ ჯანჯღავა, მოადგილეები — ზაზა ჩხაიძე და შალვა ჯაბახიძე.

## კრიმინალი გაზრდილი არ არის და თავის მართლებას ვერ დაპინყებ...

შს მინისტრობის კანდიდატის **გიორგი მღებრიშვილის** განცხადებით ოპოზიციის მიერ გაჟღერებული ბრალდებები, რომ ქვეყანაში კრიმინოგენური მდგომარეობა მძიმეა, უფრო ჭორაობას ჰგავს და რეალურ სტატისტიკასთან არანაირი კავშირი არა აქვს.

**„ბოდიში, მაგრამ ეს მართლაც ჭორაობას ჰგავს და თავის მართლებას არ ვაპირებ. საქართველოში კრიმინალი გაზრდილი არ არის და ამის ციფრებს წარმოგიდგენთ. სტატსიტიკა კვარტალში ერთხელ „საქტატს“ მიეწოდება და გამოითხოვეთ. რაც შეეხება გივი თარგამაძეს, მის საქმეზე ერთ-ერთი პირი პასუხისგებაშია მიცემული, ხოლო მეორე პირის მიმართ პროცედურები მიმდინარეობს და უახლოეს მომავალში მასზე ინფორმაცია ინტერპოლს მიეწოდება“,** — განაცხადა მღებრიშვილმა.

## მიხეილ გიორგაძე: აბსოლუტურად სწორი გადაწყვეტილება მივიღე!

**კულტურის მინისტრის მოადგილისადმი საყდრისის საკითხზე კითხვა ორმა დეპუტატმა, დამოუკიდებელმა მაჟორიტარმა სალომე ზურაბიშვილმა და ენმ-ს წარმომადგენელმა სერგო რატიანმა დასვა.**

რატიანის თქმით, გიორგაძის სახელი საყდრისის საბადოს ნგრევას უკავშირდება. გიორგაძემ კი დეპუტატებს უპასუხა, რომ ის დღესაც დარწმუნებულია თავის გადაწყვეტილების სისწორეში.

**„ეს საკითხი ისედაც გადასულია სამართლებრივ სფეროში. კულტურის სამინისტროს წინააღმდეგ სასამართლოში ოთხი სარჩელია შეტანილი. ამ ოთხი სარჩელიდან ერთის განხილვა დასრულდა და ის არ დაკმაყოფილდა. დარჩენილია სამი სარჩელი. საკითხის სამართლებრივი შეფასების პროცესი დაწყებულია. მე ნაბისმიერ ფორმატში მზად ვარ, დასმულ კითხვებს პასუხი გავცე, რაც არაერთხელ გამიკეთებია. საპარლამენტო კომისიის შექმნის მიზანშეწონილობა პარლამენტის პრეროგატივაა“,** — განაცხადა მიხეილ გიორგაძემ.

## ბრწყინვალების საპრეზიდენტო ორდენები ქართველ ოლიმპიელებს

**საქართველოს პრეზიდენტმა „რიო 2016“-ის ზაფხულის ოლიმპიური თამაშების ჩემპიონები თავისუფალი სტილის ჭიდაობაში და ძალოსნობაში ვლადიმერ ხინჩეგაშვილი და ლაშა ტალახაძე ქართული სპორტის საერთაშორისო ავტორიტეტის ამაღლებისა და საქართველოს წინაშე აღმატებული ღვაწლისათვის ბრწყინვალების საპრეზიდენტო ორდენით დააჯილდოვა.**

ჯილდოები სპორტსმენებს პრეზიდენტის ადმინისტრაციის უფროსმა გიორგი აბაშიშვილმა საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის შტაბბინაში XXXI ოლიმპიური თამაშების ჩემპიონების ვლადიმერ ხინჩეგაშვილისა და ლაშა ტალახაძის სახელობითი ვარსკვლავების საზეიმო გახსნაზე გადასცა.

## გიგი გიგიაძე დანიის სამეფოში იელჩებს...

**საქართველოს პრეზიდენტმა გიორგი მარგველაშვილმა საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე გიგი გიგიაძე „დიპლომატიური სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის მე-5 პუნქტის საფუძველზე დანიის სამეფოში საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის თანამდებობაზე დანიშნა.**

## ევროკავშირთან ასოცირების შესახებ შეთანხმების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტი გახლავთ სოფლის მეურნეობის განვითარება

ევროკავშირის სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების სამეზობლო პროგრამის (ENPARD) ორგანიზებით, სასტუმროში „ჰოლიდეი ინნ“ გაიმართა კონფერენცია „ევროკავშირის LEADER და ადგილობრივი სამოქმედო ჯგუფების მიდგომის გაზიარება საქართველოში“. LEADER (Liaison Entre Actions pour le Developpement de l'Economie Rurale) — ეს არის მიდგომა, რომელიც ითვალისწინებს სხვადასხვა რესურსით ბენეფიციართა (სოფლის მოსახლეობა) გაძლიერებას, რაც მომავალში უზრუნველყოფს სოფლების განვითარებას ტერიტორიული ადგილობრივ სამოქმედო ჯგუფებსა (LAG) და საჯარო, კერძო და სამოქალაქო სექტორებს შორის პარტნიორობის საშუალებით.

კონფერენცია სოფლის მეურნეობის მინისტრის პირველმა მოადგილემ ნოდარ კერესელიძემ, საქართველოში ევროკავშირის წარმომადგენლობის პროექტების ხელმძღვანელმა კაიდო სირელმა და საქართველოში ევროკავშირის წარმომადგენლობის ექსპერტმა გარემოს დაცვის, სოფლის განვითარებისა და სურსათის უვნებლობის საკითხებში ალვარო ორტეგა აპარისიომ გახსნეს.

როგორც ნოდარ კერესელიძემ აღნიშნა, სოფლის მეურნეობის სამინისტრო აქტიურად მუშაობს სოფლის განვითარების სტრატეგიის შემუშავებაზე, რომელიც დასკვნით ფაზაშია და მალე დამტკიცდება. სოფლის განვითარება გულისხმობს სოფლად მეტი ეკონომიკური შესაძლებლობების შექმნას როგორც სოფლის მეურნეობის დარგის, ასევე გადამამუშავებელი საწარმოების ღირებულებათა ჯაჭვის შექმნის, აგროტურიზმისა და სხვა მიმართულებების განვითარების გზით.

## მარტინ შულცი: ჩვენ ყველაფერი გავაკეთეთ, რომ ვიზალიბერალიზაციაზე გადაწყვეტილების პროცესი დაგვეჩქარებინა

**საქართველოსა და უკრაინის ვიზალიბერალიზაციის საკითხზე გადაწყვეტილება ევროკავშირის საბჭომ უნდა მიიღოს,** — აცხადებს ევროპარლამენტის თავმჯდომარე მარტინ შულცი:

**„ჩვენ ევროპარლამენტში ყველაფერი გავაკეთეთ, რომ გადაწყვეტილების მიღების პროცესი დაგვეჩქარებინა. ჩვენ მოვამზადეთ ყველაფერი, შესაბამის კომიტეტებში გაიმართა კენჭისყრები ერთი მხრივ, ვიზალიბერალიზაციაზე, ხოლო მეორე მხრივ, შეჩერების მექანიზმზე. ახლა გადაწყვეტილება აქ არის მისაღები, საბჭოში და არა ევროპარლამენტში. ვიმედოვნებ, რომ წევრი ქვეყნები გადაწყვეტილებას იპოვიან“** — განაცხადა შულცმა უკრაინა-ევროკავშირის სამიტის დაწყებამდე.

# ნიკა და ნიკიტები იმუქრებიან...

**რომ გვეგონა, პარლამენტი ავირჩიეთ, ახალი მთავრობა ჩამოვაყალიბეთ და ახლა შეგვიძლია, დროებით მაინც, ფეხი ფეხზე გადავიდოთო, არ ყოფილა ასე, კაცი ბჭობდა, ღმერთი იცინოდაო. ვინ დაგასვენებს, ვინ გადაგადებინებს... თურმე ხიროსიმას ცენტრში ვდგავართ და წუთი წუთზე უნდა ველოდეთ „ენოლა გეიდან“ ატომური ბომბის ჩამოვარდნას.**

სამოქალაქო სტაბილურობა დაინგრევა – გუშინწინ ტელეეკრანიდან თვალი თვალში გაგვიყარა გრძნეულმა ორაკულმა ნიკა გვარამიამ, – თუ დიდი პალატა ნორმალურად არ გადაწყვეტს საქმესო.

ვინც 22 ნოემბერს „რუსთავი-2“-ის საღამოს გადაცემას არ უყურა, მათთვის განვმარტავ: „რუსთავი-2“-ის საქმე (ეს ტელევიზია დაუბრუნდეს კანონიერ მფლობელს ქიბარ ხალვაშს თუ უკანონოდ მიკუთვნებულ მფლობელს დარჩეს), სააპელაციო სასამართლომ დიდ პალატას გადასცა საბოლოო განჩინების გამოსატანად, რასაც საქართველოში ვერარა სასამართლო ვეღარ შეცვლის, მხოლოდ სტრასბურგში თუ გაასაჩივრებ. და აი, ნიკა გვარამია და ნიკიტები (მისი მხარდამჭერნი), რომლებიც იმ დილას მთელ საქართველოს ყელს უწევდნენ, სასამართლოსთან მოჯარდით ქართული დემოკრატიის დასაცავადო, საღამოს იმით გადარეულებმა, რომ სააპელაციომ „ნორმალურად“ არ გადაწყვიტა, ანუ, ეგრევე არ ჩააბარა მათ ტელევიზია, სრულიად საქართველოს საზოგადოებას გული გაუხეთქეს, სამოქალაქო სტაბილურობის სავარაუდო დანგრევის შესაძლებლობით.

ეს ნიკას სტილია: დროდადრო ინგლისელი ოფიცრის სტეკივით ამოიჩრის იღლიაში უტყვ ზაალ უდუმაშვილს, შემოისხამს გარშემო დედალი და მამალი სქესის თანამშრომლებს, რომლებმაც თავიანთი იქ ყოფნით ნიკა-უფროსის გვამიდან ამომავალი მახინჯი მოწოდებების თანამოაზრეობის დემონსტრირება უნდა მოახდინონ და მიდიიი!..

სამოქალაქო სტაბილურობას ბუნტი, აჯანყება, სამოქალაქო ომი ანგრევს და ანადგურებს.

აი, რითი ემუქრება საზოგადოებასა და ხელისუფლებას ნიკა გვარამია, რათა სასამართლოს როგორმე უსამართლო განაჩენი გამოატანინოს. ამ ნაპროკურორალ კაცს ვითომ ავიწყდება, რომ აჯანყების, სამოქალაქო ომის განზრახვა სისხლის სამართლის დანაშაულია? (ის სხვა საქმეა, რომ ამ ქარაქუცა „მაუზეროსტს“ აჯანყების ორგანიზების თავი ნამდვილად არა აქვს, მისი დროშის ქვეშ მდგომ უდუმაშვილს და სხვებს კი ბრძოლის ველიდან სოროებში შეჭენების შემდეგ ხარაკირის გაკეთების განზრახვის თაობაზე ჯერჯერობით განაცხადი არ გაუკეთებიათ.

ისე კი, ეს ნიკიტები ენებს სწორედ რევოლუციურად ატყლაშუნებენ.

**დავით ბაძრაძე – თავდაცვითი ომების სპეციალისტი, ნაცმოძრაობის დიდი მაგისტრი:** „იმედს ვიტოვებ, რომ ეს ინსტიტუტი („რუსთავი-2“ – **ს. ა.**) მაინც შეუნარჩუნდება საზოგადოებას“.

**უსამართლო რატომ იქნება ტელევიზიის კანონიერი პატრონისთვის გადაცემა (უფრო სწორად – დაბრუნება)? რატომ შეექმნება მედიას საფრთხე თუ დიდი პალატა უცვლელად დატოვებს ქვედა ინსტანციის გადაწყვეტილებას?!**

დანარჩენი ყველაფერი პირწმინდად წაართვეს ამ საწყალ საზოგადოებას, ცრუ და მავნე წინასწარმეტყველო, არა?

**ეკა გიგაური – ენჯეოშნიკების ელამი თვალი და გადაბრუნებული ტვინი, ყველაფერში უაზროდ ცხვირის ჩამყოფი და ასევე უაზროდ გამომყოფი:** „ჩვენ ვფიქრობთ, რომ ქიბარ ხალვაშისთვის ამ ტელევიზიის გადაცემა არ იქნება სამართლიანი“...

ახ, ჩტო ვი გავარიწე?!

ჯერ ერთი, ვინ „ჩვენ“, შე არამკითხე დედაკაცო, ვინ ხარ, ასე მრავლობითში რომ მოიხსენიებ შენ ცარიელ თავს? ყველამ ჭკუა იხმარა, შენსავით ენა მხარზე გადაკიდებული ლომჯარიაც კი ეწია გზას – საჯარო სამსახურს მიაშურა, სულ უიმედოდ მავნე თუთბერიძეც კი ამ ბოლო ხანს ნაკლებად გვეჩხირება თვალში, მაგრამ შენ არ გეშველა არაფერი, უძაღლო ქვეყანაში რომ კატებს აყეფებენ, ისეთო კაპიტანო! მეორეც, რა იცი შენი მოკლე ჭკუით, უსამართლო რატომ იქნება ტელევიზიის კანონიერი პატრონისთვის გადაცემა (უფრო სწორად – დაბრუნება)? რატომ შეექმნება მედიას საფრთხე თუ დიდი პალატა უცვლელად დატოვებს ქვედა ინსტანციის გადაწყვეტილებას?!

მაგრამ ლოტოს კოჭ ბაქრაძეს ან ელვაზე გაშტერებული თხის თვალებიან გიგაურს რა მოვკითხო, როცა ქვეყნის პირველი პირი (? – **ს. ა.**) გიორგი მარგველაშვილი ისეთებს კადრულობს, პირველ პირს კი არა, მეშვიდეს ან სულაც მეცხრე პირსაც რომ არ ეკადრება? ეს უკადრებელი მან სულ ბოლოს IX მოწვევის პარლამენტის პირველი სხდომის გახსნისას გაახმოვანა: „რუსთავი-2“ ქართული მედიის ფლაგმანიაო, მას არავის დავაჩაგვრინებო“. დაახლოებით ასე განაცხადა. პირველი პირი პირველ ტელევიზიას ამოუდგა მხარში!!! როცა საჭიროა, რატომაც არა, მაგრამ როცა ეს ფლაგმანი სამოქალაქო ომზე ჩალიჩობს და ტელეეკრანიდან უკვე დაწყებული აქვს ეს ომი? როცა საგანგებოდ წამლავს მაყურებელს, საქმის კეთებაში ხელს უშლის ხელისუფლებას?

ჰოდა, დარეკა იმ დღეს გაზეთის ძველმა, საპატიო მკითხველმა და ავტორმა, მხცოვანმა ინტელიგენტმა ქალბატონმა: მარგველაშვილის გამოსვლამ ისე გამანერვიულა, წნევამ ამიწიაო, თან ლექსი მოაყოლა, ცხელ გულზე დავწერე, თუ ივარგებს, დაბეჭდეთ, მაგას უარესიც ეკუთვნის, ოღონდ გვარს ნუ მიაწერთ, ჩემს ასაკს არ ეკადრებაო. იქიდან ერთი სტროფი შევარჩიე:

**ნუ ტრაბახობ, მაგარი ვარ,**
**მდიდარი მაქვს სექსიო,**
**ალბათ სექსიც ისეთი გაქვს,**
**რაც ხარ პრეზიდენტიო.**

შეიძლება ლექსის ეტალონი არ იყოს (არც არის საჭირო), მაგრამ სათქმელს მშვენივრად ამბობს.

ვითომ „გადაარჩენს“ სამართლიანი განაჩენისგან „რუსთავი-2“-ს პირველი პირისა და პირმოღებული ნიკიტების თავგამოდება? სანთელ-საკმეველი გზას არ დაკარგავს!

**სანდრო ალექსიძე**

## ინაშვილმა უმრავლესობას და წულუკიანს „შეუტია“...

პარლამენტის ვიცე-სპიკერი ირმა ინაშვილი იუსტიციის მინისტრობის კანდიდატ თეა წულუკიანისგან მოითხოვს პასუხს, რატომ მოუხსნეს ზურაბ ადეიშვილს ძებნილის სტატუსი – **„რატომ ვერ იმუშავეთ ისე, რომ მას ძებნილის სტატუსი არ მოხსნოდა. უნდა ჩამოაბრძანოთ და გაასამართლოთ, ამათ კი არ უნდა ეჟღურტულებოდეთ“,** – მიმართა წულუკიანს ირმა ინაშვილმა პარლამენტში, გაერთიანებული კომიტეტების სხდომაზე, სადაც დეპუტატები მინისტრობის კანდიდატებს უსმენდნენ.

**„ქართული ოცნება“ იმას იმსახურებს, რაც დარბაზში ხდება – თითქოს, ქვეყანაში პოლიტიკური ტერორი არ იყო. ძალიან მაინტერესებს, გურამ შარაძე და ზურაბ ჟვანია ვინ მოკლა? გინდათ, პოლიტიკური ტერორის მაგალითები კიდევ დაგისახელოთ? თქვენ ამათ ქართულ პოლიტიკაში შემოყვანას და გათეთრებას ხელი შეუწყვეთ, თორემ, ესენი პარლამენტში 27 დეპუტატით არ იქნებოდნენ წარმოდგენილი“,** – მიმართა უმრავლესობას ინაშვილმა.

## ემზარ კვიციანი: როცა 2006 წლის მოვლენები იქნება გამოძიებული, 2008 წლის ტერიტორიების გასხვისებასაც აეხდება ფარდა და ვიქნები დაუნდობელი!

პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილის არჩევა ვერ მოხერხდა, კენჭისყრის პროცესს კი წინ დებატები უძღვოდა.

ემზარ კვიციანი კი არ ადასტურებს კომიტეტის თავმჯდომარის განცხადებას პოლიტიკურ შეთანხმების შესახებ და ამბობს, რომ დემოკრატიულ პარლამენტში პროცესები არჩევნებით უნდა გადაწყდეს. კვიციანი კანდიდატურის მოხსნას არ აპირებს.

**„არ მოვხსნი კანდიდატურას, არანაირი შეთანხმება არ ყოფილა და უცნაური იყო რაც გავიგონე დღეს,“** – აცხადებს კვიციანი.

როგორც კვიციანმა „ტვ პირველთან“ საუბრისას განაცხადა, ხელისუფლებას მისი მხარდაჭერა შეიძლება იმიტომ არ უნდოდეს, რომ მასზე გარე ძალები გავლენას ახდენენ. რაც შეეხება კოდორის მოვლენებს, კვიციანის თქმით, ის ითხოვს კოდორის მოვლენების გამოძიებას და ამის სემდეგ 2008 წლის „ტერიტორიების გასხვისებასაც აეხდება ფარდა“.

**„2006 წლის მოვლენები როცა იქნება გამოძიებული, 2008 წლის ტერიტორიების გასხვისებასაც აეხდება ფარდა და ვიქნები დაუნდობელი“,** – ამბობს ემზარ კვიციანი.

## კომიტეტმა მხარი უნდა დაუჭიროს „ენმ-“ს კანდიდატს

**თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის სხდომაზე კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე ვერ აირჩიეს.** კენჭისყრაზე „პატრიოტთა ალიანსის“ კანდიდატს ემზარ კვიციანს მხარი ოთხმა დეპუტატმა დაუჭირა, ხოლო „ნაციონალური მოძრაობის“ კანდიდატს 8 დეპუტატმა.რეგლამენტის მიხედვით, კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილის ასარჩევად 9 დეპუტატის თანხმობაა საჭირო. როგორც კომიტეტის თავმდჯომარემ განაცხადა, **არსებობს გარკვეული პოლიტიკური შეთანხმება, რომლის მიხედვითაც საპარლამენტო კომიტეტებში თავმჯდომარის მოადგილეები ოპოზიციის კვოტები გადანაწილებულია და 15 საპარლამენტო კომიტეტიდან 12-ში თავმჯდომარის მოადგილე „ნაციონალურ მოძრაობას“, სამი კი „პატრიოტთა ალიანსს“ უნდა ჰყავდეს -„ვინაიდან „პატრიოტთა ალიანსს“ სამივე კვოტა ათვისებული აქვს, კომიტეტმა მხარი უნდა დაუჭიროს „ნაციონალური მოძრაობის“ კანდიდატს“,** – განაცხადა სესიაშვილმა.

# ტეხურის ნაპირებიდან – მსოფლიო არქიტექტორთა თანავარსკვლავედში

**„არსებობს არქიტექტურული წიგნები, რომლებიც გამოცემისთანავე უდიდეს მნიშვნელობას იძენს, იგი ერთგვარ ორიენტირად იქცევა ქვეყნის კულტურულ ცხოვრებაში, სწორედ ასეთი წიგნები გვაიძულებს დაპყრობილი სიმაღლეებისადმი პატივისცემით განვიმსჭვალოთ, რათა ისინი მომავალი თაობებისათვის არქიტექტურული ხარისხის სავალდებულო სიმაღლეებად იქცნენ“ – ეს ბატონი თამაზ დოგრაშვილი საუბრობს, ცნობილი არქიტექტორი, ბატონ ვახტანგ დავითაიას მოსწავლე, მასწავლებლის უშესანიშნავესი წიგნის შესახებ, რომელიც ბატონ გია ჯოხთაბერიძის თაოსნობით გამოიცა „მაგთიკომის“ ისტორიული პროექტის ეგიდით – „ჩვენ ქართულ საქმეს ვაკეთებთ“.**

წიგნის წარდგინებას, რომელსაც მსოფლიოში სახელგანთქმული ქართველი არქიტექტორის, ღვაწლმოსილი ოსტატის, არქიტექტურის საერთაშორისო აკადემიის აკადემიკოსის, ამერიკის არქიტექტორთა ინსტიტუტის საპატიო პროფესორის, არაერთი პერსონალური გამოფენის, ორასამდე სტატიისა და 250-მდე პროექტის ავტორის, არგენტინისა და მექსიკის არქიტექტორული კოლეჯების საპატიო წევრის, აშშ ბოლის სახელმწიფო უნივერსიტეტის არქიტექტურისა და ქალაქთგეგმარების კოლეჯის მიწვეული პროფესორის, არქიტექტურის საერთაშორისო ტრიენალეს სამგზის ლაურეტის, სსრკ „წლის საუკეთესო პროექტის და ნაგებობის“ შვიდგზის ლაურეატის, მრავალი პრემიის მფლობელის, უშესანიშნავესი და საქვეყნოდ აღიარებული არქიტექტორების აღმზრდელის, პუბლიცისტის, ფერმწერისა და გრაფიკოსის ბატონი **ვახტანგ დავითაიას** უახლოესი ადამიანები, მისი ნიჭისა და შემოქმედების დამფასებლები, ოჯახის წევრები და მეგობრები ესწრებოდნენ.

MAGTI
ჩვენ ქართულ საქმეს ვაკეთებთ

მაგთიკომმა 21 ნოემბერს კიდევ ერთი ლამაზი საღამო აჩუქა ქართული ნიჭისა და გენის დამფასებლებს.

ეს შესანიშნავი წიგნი ვახსენეთ. იგი მართლაც მოვლენაა, მაგთიკომის მიერ უამრავი ღირსეული ქართველი ხელოვანების, მხატვრების, მწერლებისა, თეატრისა და კინოს მხარდასაჭერად გამოსულ წიგნთა შორის. წიგნმა **„ვახტანგ დავითაია, არქიტექტურა, ფერწერა, გრაფიკა“,** გასულ წელს სოფიაში, არქიტექტურის მსოფლიო ტრიენალეზე საერთაშორისო აკადემიის სპეციალური პრემია და ვერცხლის მედალი, აგრეთვე ბულგარეთის არქიტექტორთა კავშირის პრემია მოიპოვა. ამ დაუვიწყარ საღამოზე, ღვაწლმოსილმა არქიტექტორმა ეს პრემიები „მაგთიკომის“ ხელმძღვანელობას გადასცა, ნიშნად ამ დიდი დაფასებისა და აღიარებისა, რაც მათ მიერ გაწეული შრომის სამადლობელია. ეს წიგნი ბატონი ვახტანგის შემოქმედების შესახებ ადრე გამოცემულ წიგნებთან შედარებით გაცილებით ყოველისმომცველია, რადგან გარდა არქიტექტურული შემოქმედებისა, იგი ამომწურავ ინფორმაციას გვაწვდის ავტორის ცხოვრებისეულ და შემოქმედებით ფილოსოფიაზე, პოზიციაზე. სრულად გვაწვდის ბიოგრაფიულ-მემორიალურ ნიუანსებს, წარმოდგენილია ძალიან საინტერესო ფერწერა და გრაფიკა. წიგნში სრულადაა შესული „ინტერაქტ-87“-ის გამოფენაზე წარდგენილი ყველა პროექტი.

სწორედ ამის გამო უდიდესი მადლიერების გრძნობით მოიხსენია ბატონმა ვახტანგმა წიგნის გამომცემლები, დიზაინერები, მთარგმნელები, გამომცემის ტექნიკური ჯგუფის ყველა წევრი, ვინც ეს დიდი ჯილდო მასთან ერთად მიიღო.

შესანიშნავი მოგონებებით გამოვიდნენ ბატონი **ვალერი ასათიანი, რევაზ მიშველაძე, მერაბ კოკოჩაშვილი, ბაკურ გულუა,** რომელმაც ერთხელ კიდევ ცრემლი მოჰგვარა დამსწრე საზოგადოებას იმ თბილი მოგონებით, რომლის მომსწრეც თავად გახლდათ მეზღვაურთა მემორიალის (ფოთი) ხილვისას, სადაც ომში დაღუპულ მეზღვაურთა შთამომავლები ჩამოვიდნენ. დიდი ხელოვნის შესახებ ისაუბრეს **ვაჟა აზარაშვილმა** და **გურამ ბათიაშვილმა**. დედაქალაქის მერმა, ბატონმა **დავით ნარმანიამ** პირობა მისცა ბატონ ვახტანგს, რომ სულ მალე გადაწყდებოდა დიდი დავით აღმაშენებლის ძეგლის საკითხი, რომლის არქიტექტორიც ბატონი ვახტანგი გახლავთ.

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ გამომსვლელებმა ის განუკითხაობის პერიოდიც გაიხსენეს, რომელიც 2003-2013 წლებში დაატყდა თავს საქართველოს. ეს ხომ მართლაც „ჰეროსტრატეს“ კომპლექსი იყო ქართული ხელოვნების უნიკალურ ქმნილებათა მიმართ. სწორედ ამ ვანდალიზმს შეეწირა ბატონი ვახტანგის თანაავტორობით შექმნილი უშესანიშნავესი ძეგლები – „ამირანი“ სიღნაღში (მოქანდაკე ვახტანგ ონიანი, არქიტექტორი ვახტანგ დავითაია), რომელიც „ნიღბოსანმა“ ვანდალებმა 17 ნაწილად დაჭრეს. „დაჭრილი არწივი“ ზესტაფონში; დაიწყო ძეგლების მიგრაცია – ფოთის ღვთისმშობლის შობის საკათედრო ტაძრის რეკონსტრუქცია-გაფართოებას შეეწირა „კოლხეთის დედა“, ადგილი მოინაცვლეს ქვეყნის უპირველესი სიმბოლოების – დავით აღმაშენებლისა და ილია ჭავჭავაძის ძეგლებმა ქუთაისსა და ბათუმში. მათი ადგილი „მიშას შადრევნებმა“ დაიკავეს.

მაგრამ უამრავ მნახველს დღესაც აოცებს კავკასიის დამცველთა მემორიალი ყარაჩაი-ჩერქეზეთში (1063-68 წ.წ.); „კოლხეთის დედა“ ფოთში (1968 წ.); მეზღვაურთა მემორიალი ფოთში (1973-79 წ.წ.); „გამარჯვების მემორიალი“ გორში (1979 წ.); მემორიალი ქუთაისში (1981 წ.); „ხსოვნის ტაძარი“ სოფელ მუხრანში (1982 წ.); „ხსოვნის კუბი“ სენაკში (1975-1982 წ.წ.); „ალგეთის ბაზილიკა“ სოფელ ტბისში (1963 წ.); „ვეფხის და მოყმის“ ძეგლი თბილისში (1985 წ.); მემორიალი სმოლიანში (1987 წ.) და მრავალი სხვა.

**ვახტანგ დავითაიამ სამარადისო პატივი მიაგო და უმშვენიერესი არქიტექტორული მონუმენტებით შეამკო ჩვენი დიდებული მოღვაწეების საფლავები, გიგლა ლეონიძე (მთაწმინდა); ექვთიმე თაყაიშვილი (მთაწმინდა), დიმიტრი და გოგი ალექსიძეები (დიდუბის პანთეონი!), თენგიზ სუხიშვილი (დიდუბე), იოსებ კეჭაყმაძე (დიდუბე), ოთარ ჩხეიძე (დიდუბე), ირაკლი ციციშვილი (დიდუბე), რამაზ და ნატალია ჩხიკვაძეები (დიდუბე), გურამ ფანჯიკიძე, ჯანსუღ ღვინჯილია, აკაკი ვასაძე (დიდუბე), ლევ იაშინის საფლავი მოსკოვში.**

* * *

ᲕᲣᲡᲐᲛᲔᲜᲓᲘ საღამოზე გამომსვლელებს, უდიდესი სითბო, სიყვარული მოდიოდა მათგან, უდიდესი, რადგან დიდ შემოქმედს ულოცავდნენ კიდევ ერთ წარმატებას. **პაატა ნაცვლიშვილმა,** ჩემმა უფროსმა კოლეგამ და ცნობილმა ჟურნალისტმა, გადმომილაპარაკა – **ხედავ, არც ერთი სიტყვა არ არის ყალბი, რადგან ბატონი ვახტანგი თავადაა სუფთაო.**

დიახ, ცხოვრებაშია სუფთა, ალალი, მართალი, სწორედ ამიტომაც არ ეკარება არავითარი ბინწიერება, შური, ღალატი. თავადაც უღალატოა. ძნელია საქართველოში პოეტთა და ხელოვანთა დიდ აკვანში გაზრდილთა შორის ამგვარი სახელი დაიმკვიდრო, მაგრამ ადვილია ვახტანგ დავითაიასთვის, რადგან ამდაგვარ სიმაღლეზე მხოლოდ სუფთა სინდისის ხალხი აღწევს, რომელთაც მხოლოდ სიყვარულით შეუძლიათ პროფესიონალები გახდნენ თანდაყოლილი ნიჭის ნაზავთან ერთად.

ვკითხულობ ამ შესანიშნავ წიგნს, ვათვალიერებ დიდოსტატის ნამუშევართა ფოტორეპროდუქციებს, ვკითხულობ მსოფლიოში აღიარებულ ხელოვანთა დითირამბებს მიძღვნილს კოლხეთის პაწაწკინტელა სოფელში გაზრდილი კაცის შესახებ რომ წერენ ალალად, თამამად რომ აყენებენ მსოფლიო არქიტექტურის მამების გვერდით, თანატოლად რომ მიაჩნიათ კორბუზიეს, მის ვან დე როეს, რიკარდო ბოფილის, ადოლფ დოოსისა და სხვა გრანდებისა. ყველაზე მეტად ერთი პატარა ჩანაწერი მიხარებს გულს, რომელსაც რამდენჯერმე მივუტრიალდი კიშო კუროკავას, ჯიმ ისტმანის, ბილ ბრაუნის, ვიაჩესლავ გლაზიჩევის, ვლადიმერ ხაიტევის და სხვათა აღფრთოვანებული და მაღალპროფესიულად შეფასებული ჩანაწერების შემდეგ – **„მე ერთი ოცნება მაქვს – გავხდე ისეთი, როგორიც დავითაიაა!!!“ ს. სედჩენკო. მინსკელი სტუდენტი“.** ეს მართლაც ყველაზე თბილი სიტყვები, გულიდან ამოსული ნატვრაა ახალგაზრდა არქიტექტორისა.

* * *

**„ᲖᲔᲠᲓᲝᲑᲖᲔ ისევ თხებია შეფენილი, ეჟვნების გამაყრუებელი ჟღარუნი ისმის, ტურებს აფრთხობენ. ირგვლივ ყველაფერი ყვავის: ტყემალი, ალუჩა, ალუბალი... რამდენიმე წუთში ავივლი ამ აღმართს და ჩვენი ეზოდან, ზემოდან დავხედავ გადათეთრებულ ტეხურის ჭალებს. რა დრო გავიდა, არაფერი შეცვლილა, ასე იქნება სამარადისოდ“ – ეს ბატონი ვახტანგ დავითაიაა.**

ასე კი მხოლოდ დიდ ადამიანებს შეუძლიათ წერონ, სამშობლოზე, თავიანთ კუთხეზე, თავიანთ ოდაბადეზე, რომელთათვისაც დიდი შემოქმედის სახელი არაფერია, მშობლიური მიწის სიყვარულთან შედარებით.

* * *

ᲙᲘᲓᲔᲕ ერთხელ დიდი მადლობა მაგთიკომს ასეთი შესანიშნავი ალბომის გამოცემისთვის, თქვენ ხომ მართლაც ქართულ საქმეს აკეთებთ!

**მამუკა ვაშაკიძე**

◎ ᲜᲝᲕᲐᲪᲘᲐ

# სრული სატელეკომუნიკაციო მომსახურება

## 21 ᲜᲝᲔᲛᲑᲔᲠᲡ ᲛᲐ�გᲗᲘᲙᲝᲛᲡᲐ ᲓᲐ ᲓᲔᲚᲢᲐᲙᲝᲛᲡ ᲨᲝᲠᲘᲡ ᲛᲐᲗᲘᲙᲝᲛᲘᲡ ᲛᲘᲔᲠ ᲓᲔᲚᲢᲐᲙᲝᲛᲘᲡ 100%-ᲘᲐᲜᲘ ᲬᲘᲚᲘᲡ ᲨᲔᲡᲧᲘᲓᲕᲘᲡ ᲮᲔᲚᲨᲔᲙᲠᲣᲚᲔᲑᲐᲡ ᲛᲝᲔᲬᲔᲠᲐ ᲮᲔᲚᲘ

ᲐᲛᲐ ᲬᲚᲘᲡ 19 სექტემბერს საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულ კომისიას ერთობლივი განცხადებით შპს „მაგთიკომმა“ და შპს „დელტაკომმა“ მიმართეს. კომპანიებმა შპს „მაგთიკომის“ მიერ შპს „დელტაკომის“ წილის 100 პროცენტის შეძენაზე კომისიისგან წინასწარი თანხმობა მოითხოვეს. აღნიშნული განცხადების საფუძველზე, ბაზრის შესაბამის სეგმენტებზე არსებულ კონკურენციაზე შესაძლო გავლენის გამოკვლევის მიზნით, კომისიამ ადმინისტრაციული წარმოება დაიწყო.

კომუნიკაციების ეროვნულმა კომისიამ შეისწავლა აღნიშნული გარიგების დეტალები და დაადგინა, რომ შპს „დელტაკომის“ წილის 100 პროცენტის შპს „მაგთიკომის“ მიერ შეძენაზე წინასწარი თანხმობის მიცემის დამაბრკოლებელი გარემოებები არ არსებობს. შესაბამისად, ამა წლის 18 ნოემბერს მიზანშეწონილად ჩათვალა ოფიციალური თანხმობა განეცხადებინა მაგთიკომის მიერ დელტაკომის შესყიდვის თაობაზე.

შპს „დელტაკომი“ ადგილობრივი დაშვების ფიქსირებული და მაგისტრალური ქსელების მფლობელი ინტერნეტპროვაიდერია. კომპანიას ინფრასტრუქტურა შემდეგ გეოგრაფიულ ერთეულებში აქვს: თბილისი, კახეთი, მცხეთა-მთიანეთი, სამეგრელო-ზემო სვანეთი, სამცხე-ჯავახეთი, ქვემო ქართლი და შიდა ქართლი.

მაგთიკომისთვის წელს ეს უკვე მეორე მსხვილი გარიგებაა. მაგთიკომმა კავკასუს ონლაინის საცალო და კორპორაციული საოპერაციო აქტივები შეიძინა და მანამდე არსებულ ბიზნეს მიმართულებებს (მობილურ, ფიქსირებულ ტელეფონიას და სატელიტურ ტელევიზიას) ოპტიკურ-ბოჭკოვანი ინტერნეტი და IP ტელევიზია დაუმატა.

მაგთიკომი
MAGTICOM

დელტაკომის შესყიდვის შემდეგ, მაგთიკომი ინტერნეტის რეგიონალური წვდომის არეალის მნიშვნელოვან გაფართოებას გეგმავს, რაც როგორც მომხმარებლებს, ისე ტელესაკომუნიკაციო დარგს და მთლიანად ქართულ ეკონომიკას სასიკეთო შედეგებს მოუტანს.

დელტაკომი საწყისი პერიოდის განმავლობაში თავისი სახელით გააგრძელებს ოპერირებას. შესაბამისად, დელტაკომის არსებული მომხმარებლებიც მომსახურებას უწყვეტ რეჟიმში ისევ დელტაკომისგან მიიღებენ.

ᲛᲐ�გᲗᲘᲙᲝᲛᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲓᲐ ᲔᲠᲗᲐᲓᲔᲠᲗᲘ ᲝᲞᲔᲠᲐᲢᲝᲠᲘᲐ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ 3 ᲛᲘᲚᲘᲝᲜᲐᲛᲓᲔ ᲛᲝᲛᲮᲛᲐᲠᲔᲑᲔᲚᲡ ᲡᲠᲣᲚ ᲢᲔᲚᲔᲡᲐᲙᲝᲛᲣᲜᲘᲙᲐᲪᲘᲝ ᲛᲝᲛᲡᲐᲮᲣᲠᲔᲑᲐᲡ ᲐᲬᲕᲓᲘᲡ: ᲛᲝᲑᲘᲚᲣᲠ ᲓᲐ ᲤᲘᲥᲡᲘᲠᲔᲑᲣᲚ ᲢᲔᲚᲔᲤᲝᲜᲘᲐᲡ, ᲡᲐᲢᲔᲚᲘᲢᲣᲠ ᲓᲐ IP ᲢᲔᲚᲔᲕᲘᲖᲘᲐᲡ, ᲝᲞᲢᲘᲙᲣᲠ-ᲑᲝᲭᲙᲝᲕᲐᲜ ᲘᲜᲢᲔᲠᲜᲔᲢᲡ.

# ᲞᲐᲢᲠᲘᲐᲠᲥᲘᲡ ᲡᲣᲠᲕᲘᲚᲘ ᲣᲜᲓᲐ ᲐᲡᲠᲣᲚᲓᲔᲡ!

**მას შემდეგ, რაც „საქართველოს რესპუბლიკაში“ წავიკითხე ბატონ როინ მეტრეველის შესანიშნავი სტატია ლევილის ქართველთა მამულის შესახებ და დიასპორის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის გელა დუმბაძის ინტერვიუ, გადავწყვიტე გამომეგზავნა ჩემი მცირე მოგონება 100 წლის გაზეთში გამოსაქვეყნებლად, რომლის ერთგული მკითხველი იმთავითვე ვიყავი და, რა თქმა უნდა, დღესაც ვრჩები.**

ბატონი როინის მიწვევით წილად მხვდა პატივი, დავსწრებოდი საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიაში გამართულ სხდომას, რომელიც მიეძღვნა ლევილის მამულის საქართველოსთვის გადმოცემის ისტორიულ მოვლენას.

ლევილის მამულის საქართველოსთვის გადმოცემისთვის ჩვენი ხელისუფლება ყოველთვის იღვწოდა, მაგრამ ადრინდელი მცდელობები, მიზეზთა გამო, უშედეგოდ მთავრდებოდა. ერთგვარი შეხება ამ ეროვნულ საქმესთან მეც მქონდა და ის წარმატება, რომლის მოწმენიც გავხდით ცოტა ხნის წინათ, ჩემთვის განსაკუთრებით სასიხარულო იყო.

ლევილი, მოგეხსენებათ, ის ადგილია, სადაც დევნილობაში მყოფმა, დამოუკიდებელი საქართველოს მთავრობის წევრებმა ქართული კერა შექმნეს, რომლის ისტორიული მნიშვნელობის შესასწავლად სულ მალე აქ დაიწყებენ მუშაობას ქართველი მკვლევარები, აქ დაცულ არტეფაქტებს, ქართულ პერიოდიკას, წიგნებს, ისტორიულ დოკუმენტებს შეისწავლიან საქართველოდან მივლინებული მეცნიერები, სტუდენტებიც იქნებიან სწავლის პარალელურად ამ მნიშვნელოვან საქმეში ჩართული.

ამიტომაა დასაფასებელი იმ ადამიანების პროფესიული საქმიანობა, რომლებმაც შეძლეს ამ მამულიშვილური საქმის წარმატებით დაგვირგვინება. ჩვენი მადლობა ეკუთვნის, უწინარეს ყოვლისა, საქართველოს იუსტიციის მინისტრს თეა წულუკიანს, საქართველოს ელჩს საფრანგეთში ეკა დელონე-სირაძეს და, რა თქმა უნდა, ბატონ გელა დუმბაძეს.

ახლა კი მცირე ექსკურსი წარსულში.

მაშინ საქართველოს მშენებლობის მინისტრის პირველ მოადგილედ ვმუშაობდი. 1986 წელს მიმიწვიეს იუნესკოს კონფერენციაზე პარიზში.

ქართველი კაცი პარიზში იყო და ლევილში არ ჩახვიდე, წარმოუდგენელია. მეც ვისარგებლე შემთხვევით და იუნესკოში მოღვაწე ჩემი მეგობრების — მანანა და ავთანდილ ქორიძეების დახმარებით ვეწვიე ქართველთა ამ სავანეს. ჩემზე განსაკუთრებული შთაბეჭდილება დატოვა ყვავილნარში ჩაფლულმა სასაფლაომ.

ჩვენ შევადგინეთ სამშობლოს მოწყვეტილ ქართველ მოღვაწეთა საფლავების ნუსხა, გადავიღეთ ფოტოები, ჩვენი წესისამებრ, მიცვალებულთა საფლავებთან სანთლები დავანთეთ, საქართველოდან ჩატანილი ღვინით თითო ჭიქა წავუქციეთ სამშობლოდაკარგულთა ხსოვნას.

ᲜᲝᲔ ᲯᲝᲠᲓᲐᲜᲘᲐᲡ ᲡᲐᲤᲚᲐᲕᲗᲐᲜ

...უწმინდესმა და უნეტარესმა პირველად 1985 წლის იანვარში ძველ საპატრიარქოში მიმიწვია. ამ შეხვედრას სინოდის თითქმის მთელი შემადგენლობა ესწრებოდა. პატრიარქმა საჩუქრად გადმომცა რუსულენოვანი ბიბლია და გულისტკივლით აღნიშნა — „მიუხედავად ჩემი დიდი ძალისხმევისა, მთავრობის გულგრილობის გამო ბიბლიის ქართულ ენაზე გამოცემას ვერ მივაღწიეო“.

იუნესკოს შტაბბინაში ყოფნისას მითხრეს, რომ სურდათ საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის მიწვევა და მთხოვეს მისთვის ოფიციალური წერილის გადაცემა. რა თქმა უნდა, დავთანხმდი. თბილისში დაბრუნებისთანავე დავუკავშირდი მის უწმინდესობას, რომელმაც ჩვეული გულისხმიერებით მიმიღო.

ᲥᲐᲥᲣᲪᲐ ᲩᲝᲚᲝᲧᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲡᲐᲤᲚᲐᲕᲗᲐᲜ

პატრიარქთან შეხვედრის ბედნიერება მალე მომეცა. ეს შეხვედრები აღწერილი მაქვს ჩემს წიგნში „დრო, დრო აღნიშნე“ და სწორედ ამ წიგნიდან შემოგთავაზებთ ერთ ამონარიდს.

„პატრიარქი... გულთბილად შემხვდა. მის მიერ შემოთავაზებულმა წინადადებამ აღმაფრთოვანა.

— ლევილში ეკლესიის აშენება მინდა. პროექტის ავტორიც შერჩეული მყავს — პარიზელი ქართველი, აღიარებული არქიტექტორი ალექსი კობახიძე. იგი პარიზშია დაბადებული და აღზრდილი, სამწუხაროდ, ქართული არ იცის, მაგრამ მკერდში ქართველი პატრიოტის გული უძგერს... რას მეტყვით, დახმარება რომ გთხოვოთო, — მკითხა და ღვთაებრივი თვალები მომაპყრო.

— თუ იქაური ქართველი ამ დიდებული საქმის შემწეობისთვის მზად არის, მე რა ღმერთი უნდა გამიწყრეს, საგანგებო კომპლექსურ ბრიგადას შევქმნი, ისეთ ადამიანებს შევკრებ, რომლებიც უსასყიდლოდ იმუშავებენ, მხოლოდ თავშესაფარი და კვების მოგვარება იქნება საჭირო-მეთქი, — მივუგე.

ჩემი პასუხი უწმინდესსა და უნეტარესს ფრიად ეამა, — თქვენგან სხვა პასუხს არც ველოდიო, — ბრძანა...

სამწუხაროდ, ამ კეთილშობილური ჩანაფიქრის განხორციელება ვერ მოხერხდა, ვინაიდან ლევილის მიწა საფრანგეთის მფლობელობაში იყო...

რაც ჩვენზე იყო დამოკიდებული, ყველაფერი მოვაგვარეთ მას შემდეგ, რაც საქართველოს მაშინდელი ხელისუფლება რთული მოლაპარაკების შემდეგ დავარწმუნე, რომ აუცილებელი იყო პატრიარქის წინადადების განხორციელება, შევარჩიე კვალიფიციური მშენებლები და მათგან დავაკომპლექტე ბრიგადა. მოვაგვარე მისი წევრების საფრანგეთში გამგზავრების, ლევილში მათი დაბინავების საკითხები და ა.შ. სამწუხაროდ, ფრანგული მხარე წინ აღუდგა ეკლესიის მშენებლობისთვის მიწის გამოყოფას იმ მიზეზით, რომ საქართველო არ იყო დამოუკიდებელი ქვეყანა და საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში შედიოდა!

დღეს ამ მიზეზით უარს ვეღარ გვეტყვიან — ლევილის მიწა ჩვენია!

**ᲐᲮᲚᲐ ᲙᲘ ᲐᲛ ᲬᲔᲠᲘᲚᲘᲡ ᲒᲐᲖᲔᲗᲨᲘ ᲒᲐᲛᲝᲥᲕᲔᲧᲜᲔᲑᲘᲡ ᲛᲗᲐᲕᲐᲠ ᲛᲘᲖᲐᲜᲗᲐᲖᲔ ᲛᲝᲒᲐᲮᲡᲝᲚᲔᲑᲗ:**

**„ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ“ ᲤᲣᲠᲪᲚᲔᲑᲘᲓᲐᲜ ᲣᲐᲠᲘᲐᲜᲘ ᲘᲥᲜᲔᲑᲐ, ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚ ᲛᲗᲐᲕᲠᲝᲑᲐᲡ, ᲠᲝᲛᲔᲚᲛᲐᲪ ᲡᲐᲞᲐᲠᲚᲐᲛᲔᲜᲢᲝ ᲐᲠᲩᲔᲕᲜᲔᲑᲨᲘ ᲓᲐᲛᲐᲯᲔᲠᲔᲑᲚᲐᲓ ᲒᲐᲘᲛᲐᲠᲯᲕᲐ, ᲣᲙᲕᲔ ᲛᲘᲘᲦᲝ ᲡᲐᲑᲝᲚᲝᲝ ᲙᲝᲜᲤᲘᲒᲣᲠᲐᲪᲘᲐ ᲓᲐ ᲨᲔᲣᲓᲒᲐ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲐᲡ, ᲨᲔᲕᲐᲮᲡᲔᲜᲝᲗ ᲬᲚᲔᲑᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲗ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲐᲗᲝᲚᲘᲙᲝᲡ-ᲞᲐᲢᲠᲘᲐᲠᲥᲘᲡ ᲡᲣᲠᲕᲘᲚᲘ ᲓᲐ ᲬᲘᲜᲐᲓᲐᲓᲔᲑᲐ ᲚᲔᲕᲘᲚᲘᲡ ᲛᲐᲛᲣᲚᲨᲘ ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲛᲐᲠᲗᲚᲛᲐᲓᲘᲓᲔᲑᲚᲣᲠᲘ ᲔᲙᲚᲔᲡᲘᲘᲡ ᲐᲒᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ.**

**ᲡᲐᲡᲣᲠᲕᲔᲚᲘ ᲘᲥᲜᲔᲑᲐ ᲡᲐᲤᲠᲐᲜᲒᲔᲗᲨᲘ, ᲥᲐᲠᲗᲣᲚ ᲛᲘᲬᲐᲖᲔ ᲐᲦᲘᲛᲐᲠᲗᲝᲡ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲡᲐᲚᲝᲪᲐᲕᲘ.**

**ᲝᲛᲐᲠ ᲛᲐᲠᲒᲕᲔᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ,**
**პროფესორი, ეკონომიკის მეცნიერებათა აკადემიური დოქტორი, საქართველოსა და საერთაშორისო საინჟინრო აკადემიების ნამდვილი წევრი, საქართველოსა და რუსეთის დამსახურებული ინჟინერი**

## ᲐᲚᲐᲜ ᲓᲣᲜᲙᲐᲜᲘ:

# ᲐᲥ ᲕᲐᲠᲗ ᲘᲛᲘᲡᲗᲕᲘᲡ, ᲠᲝᲛ ᲓᲐᲕᲘᲪᲕᲐᲗ ᲗᲥᲕᲔᲜᲘ ᲡᲣᲕᲔᲠᲔᲜᲘᲢᲔᲢᲘ, ᲣᲤᲚᲔᲑᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲐ!

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ ვიზიტად მყოფმა დიდი ბრიტანეთის სახელმწიფო მინისტრმა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის მიმართ მხარდაჭერა გამოხატა და განაცხადა, რომ რუსეთის სამხედრო კავშირი აფხაზეთსა და ე.წ. სამხრეთ ოსეთთან მიუღებელი და დაუშვებელია:

„რა თქმა უნდა, ვგმობთ სამხედრო ერთობის შექმნას. რუსეთთან სამხედრო ერთობის შექმნა გამოწვევაა თქვენი სუვერენიტეტის. ეს მიუღებელი ნაბიჯია. რუსეთმა უნდა გააცნობიეროს, რომ არ შეუძლია ამგვარად მოქმედება. აქ ვართ იმისთვის, რომ დავიცვათ თქვენი სუვერენიტეტი, უფლებები და პოლიტიკა, რომ კონსტრუქციული ჩართულობით გადაიჭრას ეს საკითხი. რუსეთს ძალიან ნათლად უნდა ვუთხრათ, რომ მსგავსი არასასურველი, დაუშვებელი სამხედრო ერთობა მიუღებელია თანამედროვე მსოფლიოში. საქართველოს სუვერენიტეტს სრულად უნდა სცენ პატივი, ასევე უნდა იყოს დაცული კანონის უზენაესობაც“, — განაცხადა სერ ალან დუნკანმა.

* * *

სერ ალან დუნკანმა გიორგი კვირიკაშვილს საპარლამენტო არჩევნების წარმატებით ჩატარება მიულოცა და თანამშრომლობის გაღრმავების იმედი გამოთქვა.

მხარეებმა განიხილეს საქართველო-დიდი ბრიტანეთის პარტნიორული ურთიერთობების ძირითადი საკითხები. ხაზი გაესვა „უორდროპის სტრატეგიული დიალოგის“ მნიშვნელობას და აქტიური პოლიტიკური ურთიერთობების ფონზე სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობების გაფართოების პერსპექტივებს. შეხვედრაზე აღინიშნა, რომ გაერთიანებული სამეფო ერთ-ერთი უდიდესი ინვესტორია საქართველოში.

საუბარი შეეხო უსაფრთხოებისა და თავდაცვის სფეროში არსებულ წარმატებულ თანამშრომლობას. ქართული მხარის შეფასებით, ქართულ-ბრიტანულ ურთიერთობებში ასევე განსაკუთრებული ადგილი უკავია კრიზისების მართვის სფეროში თანამშრომლობას, რისი თვალსაჩინო მაგალითია „ეროვნული სიტუაციური ოთახის“ პროექტი.

მხარეებმა ისაუბრეს ევროკავშირის დატოვების შესახებ ბრიტანელი ხალხის მიერ გაკეთებულ არჩევანზე. ამერიკისა და ევროპის საკითხებში გაერთიანებული სამეფოს სახელმწიფო მინისტრის თქმით, ბრექსიტი დიდი ბრიტანეთისა და საქართველოს ურთიერთობებში ბარიერებს არ შექმნის და დიდი ბრიტანეთი გაარძელებს საქართველოს მტკიცე მხარდაჭერას.

დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებული სამეფოს საგარეო და თანამეგობრობის საქმეთა სამინისტროს ევროპისა და ამერიკის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის ალან დუნკანის ვიზიტი საქართველოში „უორდროპის დიალოგის“ ფარგლებში იმართება.

# რა ეშველება 100-ზე მეტ უპატრონო ობიექტს?

## მიტოვებული მშენებლობების განახლება ვერ ხერხდება

დედაქალაქში უამრავი მიტოვებული მშენებლობაა, რომლის განახლებაც ვერაფრით ხერხდება. ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის ინფორმაციით, ამჟამად დედაქალაქში 114-მდე შეჩერებული მშენებლობაა. როგორც მენაშენეთა ასოციაციის ხელმძღვანელი ირაკლი როსტომაშვილი ამბობს, 2008 წლის შემდეგ რამდენიმე მშენებლობა განახლდა და დასრულდა, ამ ეტაპზე კი ქალაქში 100-ზე მეტი ობიექტია მიტოვებული, რომელზეც კონკრეტული გადაწყვეტილება ჯერ კიდევ არ არის მიღებული.

**„მიტოვებული მშენებლობის უკან, როგორც წესი, რამდენიმე დაპირისპირებული მხარე იკვეთება. ხშირ შემთხვევაში ამ პროცესის მიღმა დგას მოსახლეობა, რომელიც ამ ტერიტორიაზე ცხოვრობდა, მენაშენემ გაიყვანა დროებით ქირით, სახლის აშენებას დაპირდა, მაგრამ პროცესი ბოლომდე ვერ მიიყვანა. არის შემთხვევები, როცა მოსახლეობას ფული აქვს შეტანილი მიმდინარე მშენებლობაში და წლებია, მის დასრულებას ელოდება. ისეთი შემთხვევებიც გვხვდება, როცა სამშენებლო კომპანიას სამუშაოების ნაწილი შესრულებული აქვს, მაგრამ დამკვეთს თანხა არა აქვს გადახდილი და არიან კიდევ მოდავე მხარეები, რომლებსაც სასამართლოში აქვთ შეტანილი სარჩელი, რის გამოც მშენებლობას ყადაღა ადევს.**

**ინვესტორები არიან, მაგრამ შეჩერებული მშენებლობები მათთვის შემაფერხებელი ფაქტორია. ინვესტორი ფულს დებს კონკრეტულ პროექტში იმ მიზნით, რომ მეტი ფული მიიღოს. თუ ის ხედავს, რომ პროექტში ფულის ჩადება არ შეიძლება, რადგან ყადაღა ადევს ან სასამართლო 3 წელი გრძელდება, ან მოსახლეობა ვერ რიგდება, ასეთ ვითარებაში ერთ თეთრსაც არ გადაიხდის“,** — ამბობს ირაკლი როსტომაშვილი.

ორგანიზაცია „მშენებლობა ახალი ტექნოლოგიებით“ დირექტორმა ანზორ საკანდელიძემ სააგენტო „ბიპიენთან“ საუბრისას აღნიშნა, რომ შეჩერებული მშენებლობების თვალსაზრისით თბილისში კატასტროფული მდგომარეობაა.

**„ყველა ეს მშენებლობა წინასწარი საკონსერვაციო სამუშაოების გარეშეა შეჩერებული. ისინი ამ წლების მანძილზე ატმოსფერული ნალექების გავლენით ზიანდებიან. გაყინვა-გალღობის შედეგად ჩნდება ბზარები, ბზარებში დგება წყალი, გაყინვის დროს წყალი ფართოვდება და ეს ბზარებიც ნელ-ნელა ფართოვდება. არმატურის გამოჩენის შემდეგ წყალი აქაც შეაღწევს, გაიხსნება რკინა-ბეტონის დამცველი შრე, შემდეგ იწყება არმატურის კოროზია, ამის შეჩერება კი ძალიან რთულია.**

**ამიტომ ყველა ეს შეჩერებული ობიექტი აუცილებლად უნდა შემოწმდეს. უნდა გაირკვეს, ეს შენობები უძლებს თუ არა იმ დატვირთვას, რაზეც გაანგარიშებულია, განსაკუთრებით კი იმ საპროექტო სეისმომდგრადობას, რომელიც თბილისის შემთხვევაში 8 ბალზე უნდა იყოს გათვლილი. დარწმუნებული ვარ, რომ ეს შეჩერებული მშენებლობები 8-ბალიან მიწისძვრას ვერ გაუძლებს“,** — განაცხადა ანზორ საკანდელიძემ.

არქიტექტორ ნიკოლოზ აბაშიძის თქმით, წლების წინათ მშენებლობის დასაწყებად სამშენებლო მასალებზე ორმხრივი კონტროლი იყო, რაც უზუსტობას და საფრთხეს გამორიცხავდა, დღეს კი სამშენებლო მასალები არ კონტროლდება, შესაბამისად, უხარისხო მასალებით აშენებული შენობების დანგრევის საფრთხეც გამორიცხული არ არის.

**„რეგლამენტით ადრე იყო ასე, რომ როდესაც ბეტონი მოდიოდა ბეტონის გადამზიდი მანქანით სამშენებლო ობიექტზე, მშენებელი ვალდებული იყო ბეტონი მიეტანა ლაბორატორიაში და გამოეცადა გარკვეული პერიოდის განმავლობაში, თუ როგორ მიდიოდა მარკირების პროცესი, ანუ იყო თუ არა ის მარკა, რაც დაუკვეთა. დღეს სამშენებლო მოედანზე ასეთი მოთხოვნა აღარ არის, კონტროლის მექანიზმი ორმხრივი არაა“,** — ამბობს ნიკოლოზ აბაშიძე.

როგორც თბილისის მერიაში აცხადებენ, მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახური ახორციელებს მშენებლობის პროცესის უსაფრთხოების კონტროლს. პროცესის უსაფრთხოებასთან დაკავშირებულ ღონისძიებებს განსაზღვრავს „მშენებლობის უსაფრთხოების შესახებ“ ტექნიკური რეგლამენტი, ხოლო საჯარიმო სანქცია დადგენილია „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსის“ 49-ე მუხლით. რაც შეეხება მასალების ხარისხის კონტროლს, ეს მერიას არ ევალება.

**ბექა დანელია**

# ცოტნე გამსახურდიამ და გიორგი ბებუამ სამართალი იპოვეს

საქართველოს მთავარმა პროკურატურამ ც. გამსახურდიას და გ. ბებუას მიმართ გამოტანილი გამამტყუნებელი განაჩენების გადასინჯვის გადაწყვეტილება მიიღო:

**„საქართველოს მთავარი პროკურატურის სამართალწარმოების პროცესში ჩადენილი დანაშაულის გამოძიების დეპარტამენტმა უკანონოდ გასამართლებული ორი მსჯავრდებულის ცოტნე გამსახურდიასა და გიორგი ბებუას მიმართ გამოტანილი გამამტყუნებელი განაჩენების გადასინჯვის გადაწყვეტილება მიიღო. ამ გადაწყვეტილების მიღებამდე, აღნიშნულ საქმეებზე ჩატარდა ხელახალი სრულყოფილი და ობიექტური გამოძიება, დაიკითხნენ ახალი მოწმეები, ჩატარდა ათეულობით საგამოძიებო და საპროცესო მოქმედება, შესწავლილ იქნა საგამოძიებო და სასამართლო საქმის მასალები, მოპოვებულ იქნა ახალი მტკიცებულებები და ფაქტები, რის საფუძველზეც გამოძიებამ თითოეულ ამ საქმეში მოიპოვა უტყუარ მტკიცებულებათა ერთობლიობა, რომლითაც გამოირიცხა ხსენებული პირების მიერ იმ დანაშაულის ჩადენის ფაქტი, რისთვისაც ისინი მსჯავრდებულები არიან.**

**ახალი გამოძიებით და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2015 წლის 15 სექტემბრის გადაწყვეტილებით დასტურდება, რომ ცოტნე გამსახურდიას მიმართ გამოძიება ნაწარმოები იყო მიკერძოებულად და არაობიექტურად. დგინდება, რომ ცოტნე გამსახურდია, სასჯელაღსრულების №18 დაწესებულებაში სასჯელის მოხდის პერიოდში ხშირად გამოხატავდა პროტესტს პატიმრების მიმართ ძალადობის გამო, რაც სასჯელაღსრულების დეპარტამენტის მაღალჩინოსნების გაღიზიანებას იწვევდა. აქედან გამომდინარე მისი სამაგალითოდ დასჯის მიზნით, დეპარტამენტის ხელმძღვანელი თანამდებობის პირების მიერ წინასწარ დადგმული სცენარით, საპატიმრო დაწესებულებაში ცოტნე გამსახურდიას მოუწყვეს დანაშაულის პროვოცირება, როდესაც მას საპყრობილის თანამშრომელმა ციხიდან კორესპონდენციის გატანა შესთავაზა, რის სანაცვლოდაც მან გამსახურდიას ოჯახის წევრებს ფულადი გასამრჯელო გამოართვა. აღნიშნულისთვის ცოტნე გამსახურდია მიეცა სისხლის სამართლის პასუხისგებაში ქრთამის მიცემისთვის, სისხლის სამართლის კოდექსის 339-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულისათვის და მიესაჯა თავისუფლების აღკვეთა 5 წლის ვადით.**

**ახალი გამოძიებით დადასტურებულ იქნა ის ფაქტი, რომ ცოტნე გამსახურდიას მიმართ ადგილი ჰქონდა დანაშაულის პროვოკაციის ნიშნებს და სისხლის სამართლის საქმის მასალების ფალსიფიკაციას, რაც საფუძვლად დაედო მის უკანონო მსჯავრდებას.**

**კიდევ ერთი მოქალაქე, რომლის განაჩენიც გადაისინჯება, არის შსს კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის ყოფილი თანამშრომელი გიორგი ბებუა, რომელიც კუდის ხელმძღვანელობასთან დაპირისპირების გამო დააკავეს ქრთამის აღების ცრუ ბრალდებით. კერძოდ, 2010 წლის 25 ოქტომბერს, ღამის საათებში გიორგი ბებუა დაიბარეს კუდის უფროსთან დათა ახალაიასთან, სადაც მის მიმართ რამდენიმე საათის განმავლობაში ხორციელდებოდა ზეწოლა კუდის მაღალჩინოსნების მხრიდან, რომ თითქოს იგი საქართველოს რკინიგზის მიერ გამოცხადებულ ტენდერში კერძო კომპანიის მფარველობის სანაცვლოდ იღებდა დიდი ოდენობით ფულად გასამრჯელოს.**

**საბოლოო ჯამში, სამუდამო პატიმრობითა და საპატიმრო დაწესებულებაში აუტანელი პირობების შექმნის მუქარით, იგი იძულებული გახდა ეღიარებინა არჩადენილი დანაშაული, რის შემდეგაც მას მიესაჯა თავისუფლების აღკვეთა 11 წლის ვადით. გიორგი ბებუამ საპატიმრო დაწესებულება მხოლოდ 2012 წელს, პრეზიდენტის შეწყალების აქტით დატოვა.**



**ახალი გამოძიების პროცესში მოპოვებული მტკიცებულებებით დადასტურდა, რომ მსჯავრდებულების მიმართ ბრალად შერაცხილ დანაშაულებრივ ქმედებას ადგილი არ ჰქონია, რის გამოც ორივე მსჯავრდებულის მიმართ პროკურატურის მიერ გამოტანილია დადგენილებები მსჯავრდებულის უფლების დარღვევის თაობაზე, რის საფუძველზეც ჩვენ მივმართავთ თბილისის სააპელაციო სასამართლოს ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო განაჩენების გადასინჯვის მოთხოვნით.**

**პროცესს, რომელიც მთავარ პროკურატურაში შექმნილმა ახალმა დეპარტამენტმა დაიწყო, რაც უკავშირდება უკანონოდ გასამართლებული პირების განაჩენების გადასინჯვას და მათი დარღვეული უფლებების აღდგენას, შეუქცევადი ხასიათი ექნება“,** ნათქვამია განცხადებაში, რომელსაც მთავარი პროკურატურა ავრცელებს.

## კახი კახიშვილი:

# 14-დან 21 წლამდე მსჯავრდებულებისთვის ცალკე საპატიმრო დაწესებულება აშენდება

საკუთარი სამოქმედო გეგმა წარმოადგინა პარლამენტში რამდენიმე კომიტეტის გაერთიანებულ სხდომაზე სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრობის კანდიდატმა კახი კახიშვილმა. მისი განცხადებით, მის უწყებაში სარეჟიმო პირობების უზრუნველსაყოფად, პატიმრების კლასიფიცირება მოხდა რისკების მიხედვით. როგორც კახიშვილი ამბობს, იწყება 14-დან 21 წლამდე მსჯავრდებულებისთვის ცალკე დაწესებულების აშენება.

**„203 მსჯავრდებული არის საშიშროების მაღალი რისკის მქონე, 3 265 მსჯავრდებული — საშიშროების საშუალო რისკის, 158 მსჯავრდებული — საშიშროების დაბალი რისკის, ხოლო 13 მსჯავრდებული — საშიშროების მომეტებული რისკის მქონეა. ამავდროულად, გვაქვს გრანდიოზული გეგმები მომავალთან დაკავშირებით. იწყება უპრეცედენტო პროექტი, 14-დან 21 წლამდე მსჯავრდებულებისთვის ცალკე დაწესებულების აშენება. ჩვენი აზრით, 18 წლის ასაკის მიღწევისთანავე, არ იქნებოდა სწორი ასეთი პატიმრები, სრულწლოვანი მსჯავრდებულების დაწესებულებაში გადაგვეყვანა. ამიტომაც, ევროკავშირის რეკომენდაციითა და დახმარებით შეიქმნება 14-დან 21 წლამდე მსჯავრდებულებისთვის დაწესებულება, სადაც ამ ასაკისთვის ცალკეული პროგრამები იქნება უზრუნველყოფილი, რათა მომავალში საზოგადოებაში სრულად ინტეგრირებულად, მივიღოთ ასეთი ტიპის ადამიანები სასჯელის მოხდის შემდეგ“,** — განაცხადა სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრობის კანდიდატმა.

* * *

გირაოსა და პატიმრობის გარდა, სასჯელაღსრულების მინისტრობის კანდიდატი კახი კახიშვილი პარლამენტს აღკვეთის ღონისძიების ახალი სახის წინასააღკვეთო პრობაციის შემოღებას სთავაზობს.

**„ჩვენ ვმუშაობთ აღკვეთის ღონისძიების ახალ ფორმაზე. ეს არის შინაპატიმრობა და საპრობაციო აღკვეთის ღონისძიება. პრაქტიკის ანალიზმა ცხადყო, რომ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში მხოლოდ ორი ეფექტური აღკვეთის ღონისძიების სახეა, რომელიც გამოიყენება სასამართლოს მიერ — გირაო და პატიმრობა, აქედან გამომდინარე, სხვა ალტერნატიული, უფრო მეტად ეფექტური აღკვეთის ღონისძიების არარსებობის შემთხვევაში ძირითადად გამოიყენება პატიმრობა, ამიტომ შორს წავედით და შევთავაზებთ საქართველოს პარლამენტს წინასააღკვეთო პრობაციის შემოღებას, იმისთვის, რომ შევამციროთ წინასწარ პატიმრობაში მყოფი ადამიანების რაოდენობა“,** — განაცხადა კახიშვილმა.

## 81

***ნათლის მხედარი მიამიტია, ვითარცა მტრედი და მრძენია, ვითარცა გველი.***

სხვებს რომ ხვდება და ესაუბრება, ის არც კიცხავს და არც გმობს იმათ საქციელს, რამეთუ იცის: ჯავრსა თუ წყენას რასმე, იმის სულიდან მომდინარეს, ეგრევე იჭერს უმეცრება უხილავი რამ ბადით, რომელიც თავის ქსელში აბამს ყოველივეს, რაც თვალისთვის უხილავი ტრიალებს ჰაერში და ამას წამისყოფით შურად და მძულვარებად აქცევს, რომელი შური და მძულვარებაც წამერთ შთანთქავენ ადამიანის სულს.



ამიტომაც ყოველივე თქმული, ვის მიმართაც არ უნდა იყოს მიმართული, უეჭველად აღწევს იმ ადამიანთა ყურამდე, ვინც მტრობაშია ამ ადამიანთან, მთქმელთან, და მზადა აქვს ბოღმის მოწამლული მუხტი.

აი რატომ არის, რომ როს რასმე აზრს გამოთქვამს ნათლის მხედარი თავის ღვიძლ ძმაზე, ის თავისი სახლიკაცი წარმოდგენილი ჰყავს თავის გვერდით, რომელსაც თითოეული იმისი სიტყვა ეყურება.

## 82

***„უა საუკუნეების რაინდის სამაგიდო წიგნში“ თქმულია:***

„გზა-სავალის სულიერი ენერგია სამართლიანობისა და მოთმინების წყალობით ამზადებს შენს სულს.

ასეთია რაინდის გზა: იოლიც არის, და ერთდროულად ეკლიანიც, რამეთუ გაიძულებს, რომ გვერდზე მიყარო ყოველივე არასაჭირო, თვით არასაიმედო მეგობრობაც. და ამიტომ თავდაპირველად ერთგვარი ეჭვები იპყრობს ყველას, ვინც რაინდის გზას დაადგება.

აი რაინდობის პირველი მცნება: ყველაფერი ამოშალე შენი ცხოვრების წიგნიდან, რაც მოაქუამამდე, შეგიტანია – შფოთვა, რწმენის უქონლობა, სიცრუე. ამოშლილის ადგილას კი ჩაწერე მხოლოდ ერთი სიტყვა „შემართება“.

ამ სიტყვასთან ერთად გზას რომ დაემწყემსები, გულში უფლის რწმენაგაღვივებული, აუცილებლად მიაღწევ მიზანს, რომელსაც ესწრაფვი“.

## 83

***ბრძოლის უამის მოახლოებისას ნათლის მხედარი ცდილობს, რომ მზად იყოს ყოველგვარი მოულოდნელობისათვის.***

იგი საზღვრავს თითოეულ სტრატეგიულ სვლას და თავის თავს ეკითხება: „რა უნდა მექნა ნეტავი, უკეთუ ჩემსავე თავთან მომიხდებოდა ბრძოლა?“ და ამგვარად ადგენს თავის სუსტ მხარეებს.

და ამ დროს მოდის მოწინააღმდეგეც, თან მოაქვს მთელი დასტა მაცდუნებელ დაპირებათა, მოლაპარაკებათა, წინადადებათა, რომლებიც ეშმაკსაც შეაცდენენ, მოაქვს ათასგვარი ვარიანტები, ერთი მხარისთვისაც ხელსაყრელი, მეორისთვისაც.

ნათლის მხედარი გულდასმით განიხილავს თითოეულ წინადადებას, თვითონაც ცდილობს შეთანხმების მიღწევას, მაგრამ ამასთანავე საკუთარ ღირსებას არა კარგავს. უკეთუ მან უარი თქვა ბრძოლაზე, ამას იმიტომ კი არ შვრება, რომ მოწინააღმდეგის სიტყვებისგან მოითაფლა, არა, პირიქით, მან ეს საუკეთესო სტრატეგიად მიიჩნია.

ნათლის მხედარი მტრისგან ძღვენს არ იღებს.

## 84

***ამრიგად, ვიმეორებ:***
***ნათლის მხედარს გამოხედვაზე იცნობ.***

ისინი ჩვენს სოფელ-ქვეყანაში ცხოვრობენ, ყოველი იმათგანი ჩვენი სოფელ-ქვეყნის ნაწილია, ჩვენს სოფელ-ქვეყანაში ისინი გამოგზავნილნი არიან, და აქ უარგნოდ და უსანდლებოდ მოვიდნენ. არცთუ იშვიათად ისინი შიშს განიცდიან. თანაც ყოველთვის წესიერად არ იქცევიან.

ნათლის მხედარნი ხან სრულიად უმნიშვნელო, წვრილმანი რამისთვის იტანჯებიან, უბრალო რამისთვის წუხან, ჰგონიათ, რომ ზრდის უნარი არა აქვთ. ნათლის მხედარნი ჟამიჟამ ფიქრობენ, არც რამ სასწაულისა და არც რამ წყალობის ღირსნი არა ვართო.

გაგრძელება. დასაწყისი იხ. №212-219

**პორტუგალიური ტექსტი დედნის ბწკარედის მიხედვით გადმოაენა გშრამ გოგიაშვილმა**

ნათლის მხედარნი ხშირად ეკითხებიან თავიანთ თავს და ერთმანეთს, აბა, რას ვაკეთებთ აქაო, და კიდევ უფრო ხშირად ასვენიან, ჩვენი ცხოვრება აზრს მოკლებულიაო.

სწორედ ამიტომ არიან ისინი ნათლის მხედარნი. იმიტომ, რომ შეცდომები მოსდით. იმიტომ, რომ შეკითხვებს იძლევიან, იმიტომ, რომ ნიადაგ აზრს ეძებენ.

ეძებენ და საბოლოოდ პოულობენ კიდეც.

## 85

***ნათლის მხედარი ახლა იღვიძებს.***

„მე ვერ მოვერევი ამ ნათელს, რომელიც ზრდას მაიძულებს“, – ფიქრობს იგი. ნათელი კი ამასობაში არა ქრება.

„საჭირო იქნება ცვლილებები, მე კი სურვილის ნატამალიც არა მაქვს, რომ შევცვალო რამე“, – ფიქრობს იგი.

მაგრამ ნათელი არც იბუტება და არც იშრიტება – რამეთუ სიტყვა „სურვილი“ სავსეა იდუმალი რამ აზრებით.

და მხედრის თვალები და გული ნელ-ნელა ეგუებიან ნათელს, რომელიც უკვე აღარ აშინებს მხედარს, და იგი ადგება თავის გზას, თუმცა ეს იმასაც ნიშნავს, რომ იმას რისკის გაწევა მოუწევს.

ნათლის მხედარს კარგა ხანს ეძინა. სავსებით ბუნებრივია, რომ ის თანდათან ბრუნდება სინამდვილეში.

## 86

***ბაუკაცი მებრძოლი ითმენს და იტანს შეურაცხყოფას; მან იცის თავისი მუშტის სიმძიმე და თავისი დარტყმის ძალა.***

თუ მოწინააღმდეგის წინაშე აღმოჩნდა, რომელსაც ბრძოლისთვის მომზადება ვერ მოუსწრია, იგი თვალებში ჩახედავს იმას – შიგ საღძირამდე – და ეგრევე სძლევს, ის კი არა, ფიზიკურ ძალასაც არ იყენებს, ისე.

რაც უფრო მეტს სწავლობს მხედარი თავისი სულიერი მოძღვრისგან, მით უფრო კაშკაშდება იმის თვალებში რწმენის ნათელი, და არცვისთვის რისამე დამტკიცებას არ საჭიროებს. იმისთვის არცრა მნიშვნელობა არა აქვს მოწინააღმდეგის მეომრულ მოსაზრებებს, რომელი მოწინააღმდეგეც უჩიჩინებს, ღმერთი ცრურწმენაა, სასწაული სხვა არა არის რა, თუ არა ფოკუსიო, ხოლო ანგელოზებისა თუ გჯერა, ეს იგივეა, რომ სინამდვილეს გაექცეო.

მებრძოლის დარად, ნათლის მხედარს ესმის, რაოდენ უძლეველ ძალასა ფლობს, და არცროდის ბრძოლას არ უწყებს იმას, ვინც მსგავსი პატივის ღირსი არ არის.

## 87

***ნათლის მხედარს მუდამ ახსოვს მტერთან შებმის ხუთი წესი, რომელი წესებიც სამი ათასი წლის წინათ ჩამოაყალიბა ჯუან-ძიმ.***

რწმენა: სანამ ბრძოლაში ჩაებმებოდე, ის უნდა გწამდეს, რის გულისთვისაც სჩადიხარ ამას.

თანამოსაგრე: ისწავლე მოკავშირეთა შერჩევა და იმათ მხარდამხარ ბრძოლა-საგრობა, რამეთუ თავხელმარტოს არცვის ომის მოგება არ ძალუძს.

დრო-ჟამი: ჭეშმარიტ მეომარს ახსოვს, რომ ზამთარში მომხდარი ბრძოლა განსხვავდება ზაფხულში მომხდარი ბრძოლისგან ამიტომ არის, რომ ბრძოლის დასაწყებად ის ყოველთვის ყველაზე უფრო ხელსაყრელ, მარჯვე მომენტს არჩევს.

სივრცე: არ შეიძლება მთებში ისევე იბრძოლო, როგორც ბარად იბრძვი. შეაფასე ყოველივე, რაც შენ გარშემოა, და აირჩიე ბრძოლის ყოველი უკეთესი ხერხი.

სტრატეგია: კარგი მეომარი ის არის, ვისაც შეუძლია ბრძოლა-საგრობის მსვლელობის განჭვრეტა და მომზადება.

## 88

***მხედარ-მეომარს იშვიათად შეუძლია გამარჯვებულის განსაზღვრა ერთბაშად ბრძოლის დამთავრებისთანავე.***

ბრძოლის მოძრაობა თავის გარშემო უზარმაზარ ენერგიას წარმოშობს, და ერთხელაც დგება მომენტი, როცა ერთნაირად შესაძლებელია გამარჯვებაც და დამარცხებაც. მხოლოდ დრო იტყვის, ვინ სძლია და ვინ იძლია, მაგრამ მხედარმა იცის, რომ ამ წუთიდან იმას უკვე არაფრის ქმნა აღარ ხელეწიფება: ბრძოლის ბედი ღმერთის ხელშია.

ასეთ წუთებში მხედარი არ შფოთავს ბრძოლის დასასრულზე. ეს სულაც არ აწუხებს. ის მთელი არსებით მიყურადებულია თავის გულს და ეკითხება: „ეს **სამართლიანი ომი** იყო, არა? ხომ ჩემ შესაფერისად ვიბრძოდი?“ უკეთუ გული ჰოობით უპასუხებს, იგი განსვენებას ეძლევა. უკეთუ პასუხია, არაო, იგი უმალ ხელს წაავლებს მახვილს და ისევ ვარჯიშს იწყებს.

## 89

***ნათლის მხედარი სულ იმას ესწრაფვის, რომ მასში ღვთიური ნაპერწკალი არ ჩაქრეს.***

ბედმა არგუნა იმას სხვა მეომრებთან ერთად ყოფნა, მაგრამ ხან მარტოს უნდა მახვილის ფლობის ხელოვნებაში გავარჯიშება. და ამიტომ, ამხანაგთ ჩამოშორებული, იგი ვარსკვლავის ალი-კვალი ხდება.

იგი აცისკროვნებს სოფელ-ქვეყნის თავისთვის განკუთვნილ ნაწილს და ცდილობს, რომ იმათ, ვინც ცაში იყურება, სხვა გალაქტიკები და სამყაროები მოიხილონ.

მალე იმისი შეუპოვრობა და ურყევობა ერთბაშად დაჯილდოვდება. ერთიმეორის მიყოლებით გვერდში ამოუდგებიან სხვა მხედარ-მეომრები, და ყველა ერთად შექმნის თანავარსკვლავედს მთელი თავისი სიმბოლოებითა და მთელი თავისი საიდუმლოებებით.

## 90

***ჟამიჟამ ნათლის მხედარს ასეთი შთაბეჭდილება უჩნდება, რომ ერთდროულად ორი სიცოცხლით ცხოვრობს.***

ერთ-ერთ ცხოვრებაში იგი იძულებულია, რომ ის ქმნას, რისი ქმნის სურვილიც არა აქვს, ანუ იმ იდეებისთვის იბრძოლოს, რომელთაგან არც ერთი არა სწამს. მაგრამ არსებობს მეორე ცხოვრებაც, რომელიც იმას თვალწინ ეშლება ოცნებებში, საყვარელი წიგნების კითხვაში, იმ ადამიანებთან შეხვედრებში, ვინც იმასავით აზროვნებს.



ნათლის მხედარი წინააღმდეგობას არ უწევს იმას, რომ იმისი ორი ცხოვრება ერთმანეთს დაუახლოვდეს. „არის ხიდი, რომელიც ჩემს უკვე ქმნილს იმასთან აერთებს, რის ქმნაც მე მომწონს“, – ფიქრობს იგი. და იმისი ოცნებები თანდათან ეუფლებიან ყოველდღიურობას, მერე უკვე სძლევენ კიდეც. და ნათლის მხედარს ესმის, რომ მზად არის იმისთვის, რაც მუდამ ეწადა.

და ახლა საჭიროა მხოლოდ მცირეოდენი კაძნიერება – და ორი ცხოვრება შეედნობა ერთმანეთს.

(გაგრძელება იქნება)

# ოკუპაციაც, ანექსიაც!

## ანუ ჩაწიწლული საქართველო...

## ყირიმი, სოხუმი, ცხინვალი – გიუმრის ბაზის მიბმის პერსპექტივით!

სამიოდე დღის წინათ რუსეთის პრეზიდენტმა ვლადიმირ პუტინმა ხელი მოაწერა კანონს რუსეთისა და ოკუპირებული აფხაზეთის დე ფაქტო შეიარაღებული ძალების გაერთიანებული დაჯგუფების შექმნის შესახებ შეთანხმების რატიფიცირების თაობაზე. გაერთიანებული დაჯგუფების შექმნის მიზნად შეიარაღებულ თავდასხმებსა და ნებისმიერი მხრიდან სამხედრო უსაფრთხოებისთვის სხვა სახის საფრთხეებზე რეაგირება სახელდება. რუსული მხრიდან დაჯგუფების შემადგენლობაში ოკუპირებული აფხაზეთის ტერიტორიაზე დისლოცირებული სამხედრო ბაზა შევა, აფხაზურიდან – ორი ცალკეული მოტომსროლელი ბატალიონი, საარტილერიო და საავიაციო ჯგუფები, ასევე სპეცდანიშნულების ცალკეული რაზმი. **„მშვიდობიან პერიოდში გაერთიანებული დაჯგუფების შემადგენლობაში შემავალი სამხედრო ქვედანაყოფების ურთიერთქმედების ორგანიზებას მხარეთა წარმომადგენლებით დაკომპლექტებული ოპერატიული ჯგუფი მოახდენს. მას გაერთიანებული რუსული სამხედრო ბაზის მეთაური უხელმძღვანელებს“,** – ნათქვამია რატიფიცირების შესახებ კანონის განმარტებით ბარათში. მასში ასევე განმარტებულია, რომ აგრესიის საფრთხის შემთხვევაში და ომიანობის პერიოდში დაჯგუფება რუსეთის თავდაცვის სამინისტროს მიერ დანიშნული მეთაურის დაქვემდებარებაში გადავა.

თავდაცვის ყოფილი მინისტრის დავით თევზაძის განცხადებით, რუსეთის მიერ აფხაზეთის დე ფაქტო ხელისუფლებასთან სამხედრო სფეროში გაფორმებული ხელშეკრულების რატიფიცირება ახალ რეალობას ქმნის: **საფრთხეები იგივე რჩება, თუმცა ოკუპირებული ტერიტორიების ნაცვლად ვიღებთ ანექსირებულ ტერიტორიებს.**

**„საფრთხეები იგივე რჩება, უბრალოდ რეალობა იცვლება. ხელშეკრულებამდე ჩვენი ტერიტორიები ოკუპირებული იყო, ხელშეკრულების შემდეგ კი ამ ოკუპირებული ტერიტორიების ანექსია ხდება. ეს ანექსიისკენ გადადგმული ნაბიჯია და ეს რეალობა გაცილებით უარესია, ვიდრე ის, რომელიც აქამდე არსებობდა“** – განაცხადა დავით თევზაძემ.

ექს-მინისტრი შეეცადა, რუსეთის მოქმედების სავარაუდო ლოგიკა წარმოეჩინა:

**„სიტუაციას რუსეთის მხრიდან რომ შევხედოთ, ეს ყველაფერი ლოგიკურია. კერძოდ, როდესაც აღმოჩნდა, რომ მას ოკუპირებული ტერიტორიებიდან სამხედრო ძალები უნდა გაეყვანა, ეს ტერიტორიები დამოუკიდებლად ცნო და შემდეგ ამ ტერიტორიებზე მყოფ ხელისუფლებებთან გააფორმა შეთანხმება, რათა თავისი ბაზები ჰყოლოდა იქ, შემდეგ კი ეს ბაზები გააძლიერა. (...) სამხედრო ლოგიკაზე დაყრდნობით შემიძლია, ვთქვა, რომ რუსეთის ნაბიჯები შავ ზღვაში უპირატესობის შენარჩუნებას ისახავს მიზნად, ამისთვის კი აფხაზეთი სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია. აფხაზების ერთი სახმელეთო მეზობელი ჩვენ ვართ, მეორე – რუსეთი. რუსებმაც და აფხაზებმაც მშვენივრად იციან, რომ პირდაპირი აგრესიის საფრთხე არ არსებობს, რაღგან ჩვენ აგრესიის შნო არ გვაძვს.** აქ სხვა, უფრო მსხვილ თემასთან გვაქვს საქმე: მას შემდეგ, რაც ნატომ გამოაცხადა, რომ იძულებულია, გაზარდოს უსაფრთხოების ზომები თავის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში (მხედველობაში შავი ზღვა მაქვს), რუსეთს სასწრაფოდ სჭირდება, ასე ვთქვათ, ყირიმის საფუძველი ბაზა, რათა საჭიროების შემთხვევაში ყირიმში არსებული ძალები სრული დატვირთვით აამოქმედოს, ამისთვის კი მას სასიცოცხლოდ ესაჭიროება აფხაზეთი. **სტრატეგიული თვალსაზრისით, აფხაზეთი და ყირიმი ერთად განიხილება.** სამხედრო ლოგიკა ასე მუშაობს. თქვენ თუ მეორე მსოფლიო ომის ისტორიას გაიხსენებთ, ყირიმზე წინააღმდეგობის ერთ-ერთი ბაზა საქართველოს შავი ზღვის სანაპირო გახლდათ, სადაც რეალურად ბაზირებდა მთლიანად საბჭოთა ფლოტი. მეტიც, იმან, რომ ყირიმზე შეფერხდა სევასტოპოლის აღება, ზეგავლენა იქონია ომის გაჭიანურებაზე და გერმანიამ ვერ შეძლო ვერც გროზნოს და ვერც ბაქოს საბადოების დაკავება, ანუ ყირიმი კავკასიისთვის ძალიან მნიშვნელოვანია. თითქოს ერთმანეთისგან შორია, მაგრამ ყირიმი, აფხაზეთი ერთმანეთზე მიბმულია. ასევე მნიშვნელოვანი იქნება მისთვის ცხინვალის რეგიონში არსებული ბაზის მათთან გაერთიანების მცდელობა გიუმრის ბაზის მიბმის პერსპექტივით. ეს არის სცენარი, რომლის მიხედვითაც განვითარდება მოვლენები, თუ ჩვენ დროზე არ გავიაზრებთ, რა სინამდვილესთან გვაქვს საქმე და არ დავიწყებთ რეალური ნაბიჯების გადადგმას“, – აცხადებს დავით თევზაძე.

გამოცდილი და ჭკვიანი კაცის დავით თევზაძის შეფასებით, საქართველო „არაფერს უპირისპირებს რუსეთის ლოგიკურ მოქმედებას და მის შედეგად წარმოქმნილ იმ ახალ რეალობას, რომლის წინაშეც დავდექით“.

**– არ ვიცი, აფხაზი ხალხი როგორ შეეგუება ანექსიას, რადგან ავად თუ კარგად, მან დამოუკიდებლობის ნიშნით იბრძოლა. ეს, ბუნებრივია, მიუღებელია, მაგრამ ამის გაგება შეიძლება და ანექსიის პროცესს როგორ შეეგუებიან, სხვა საკითხია. ფაქტი კი ის არის, რომ ჩვენ ახალი რეალობის წინაშე დავდექით. ვიმეორებ, რუსეთი თავისი ხედვიდან ლოგიკურად მოქმედებს და ჩვენ რას ვუპირისპირებთ, სხვაა. გვაქვს ზეგავლენის ინსტრუმენტები? – გვაქვს. ვიყენებთ? – როგორც ჩანს, არა, რადგან სხვა შემთხვევაში ამ ნაბიჯამდე არ მივიდოდა საქმე. ჩანს, რომ აქტიური საგარეო პოლიტიკა არც ერთი მიმართულებით არ გვაქვს. ჩვენი პოლიტიკა რეაქციის რეჟიმზეა აგებული. პრევენციულ ნაბიჯებს არ ვდგამთ, წინასწარ არ ვმსჯელობთ... ეს არის რეალური, აქტიური საგარეო პოლიტიკა, სადაზვერვო საქმიანობა. უნდა გავიაზროთ, რა სახის საჭიროებებზე ორიენტირებული შეიარაღებული ძალები გვჭირდება და არა ისე, რაც დღეს ხდება – თამაში და ბაკქანალია. სამივე ამ კომპონენტში არაადეკვატური ადამიანები გვყავს,** – დასძინა ექს-მინისტრმა.

**ჯანო აფხაიძე**

◎ საქართველო გადარჩება?!

# აშშ-ის სასიცოცხლო ინტერესები

**გავლენიანი ამერიკული გამოცემა „The Wall Street Journal“-ი, ასევე გავლენიანი ამერიკელი პოლიტიკოსისა და სამხედრო მოღვაწის დონალდ რამსფელდის ვრცელ სტატიას აქვეყნებს, სადაც საქართველოში შეერთებული შტატების ინტერესებზეა საუბარი.**

საქართველომ კვლავ მოხდინა დასავლური ფასეულობებისადმი ერთგულების მტკიცე დემონსტრირება: გასულ თვეში ქართველებმა, უკვე მეორედ ოთხი წლის მანძილზე, საარჩევნო ურნებთან ხმის მიცემის დროს ნამდვილი დემოკრატიის, პლურალისტური საზოგადოებისა და ტრანსატლანტიკური ფასეულობებისადმი ერთგულება გამოხატეს. 8 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნების შედეგებით განმეორდა და კიდევ უფრო გაღრმავდა ოთხი წლის, 2012 წელს ჩატარებული არჩევნების დადებითი შედეგები.

საქართველო, შეიძლება ითქვას, თითქმის უნიკალურია იმ ახალ სახელმწიფოებს შორის, რომლებიც საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ ჩამოყალიბდნენ. ნიშანდობლივია, რომ საქართველოს მთავარმა პარტიებმა ხელი მოაწერეს ერთობლივ დეკლარაციას და განაცხადეს, რომ ისინი აქტიურად უჭერენ მხარს ევროპასა და ნატოსთან ინტეგრაციას, აგრეთვე ურთიერთობის გაღრმავება-განმტკიცებას სტრატეგიულ პარტნიორთან – ამერიკის შეერთებულ შტატებთან. პრემიერ-მინისტრმა გიორგი კვირიკაშვილმა ჯერ ჩემთან საუბრისას, შემდეგ კი საჯაროდაც განაცხადა, რომ ეს პროცესი „შეუქცევადია“ – ეს არის ის განწყობა, რომლითაც გამსჭვალულია მთელი ქართველი საზოგადოება და მას დიდი რეზონანსი აქვს.

რისი გაკეთება შეუძლია ამერიკის შეერთებულ შტატებს საქართველოსთვის, ასეთი მტკიცე მხარდაჭერისა და სწრაფვის საპასუხოდ? მომავალმა ადმინისტრაციამ ყურადღება რამდენიმე ვარიანტს უნდა დაუთმოს, რომლებიც არ ითხოვენ მნიშვნელოვან ხარჯებს, მაგრამ იმავდროულად სავსებით შეესაბამებიან და ავითარებენ აშშ-ის ინტერესებს.

პირველ რიგში, უნდა მოიხსნას ის ბარიერები, რომლებიც ხელს უშლიან საქართველოს ნატოში გაწევრიანებას: საქართველომ „მაპ“-ი ყოველგვარი დამატებითი დაყოვნების გარეშე უნდა მიიღოს. ქართველებს თავიანთი საწევრო შესატანი ნატოში უკვე გადახდილი აქვს: თბილისმა ნებაყოფლობით გაგზავნა თავისი მეომრები ჯერ ერაყში, შემდეგ კი ავღანეთში, რომლებიც ამჟამად ამერიკელებისა და ნატოს სხვა ქვეყნების ჯარისკაცებთან მხარდამხარ იბრძვიან. თუ გადაითვლით და ერთმანეთს შეადარებთ საქართველოს მოსახლეობის რაოდენობას და ავღანეთში გაგზავნილ ქართველ ჯარისკაცთა რიცხვს, დაინახავთ, რომ საქართველოს მიერ შეტანილი წვლილი უფრო მეტია, ვიდრე ნატოს სხვა სახელმწიფოებისა (აშშ-ის გარდა). ამ „სხვა სახელმწიფოებში“ იგულისხმებიან ის ევროპული ქვეყნები, რომლებიც გულგრილად არიან განწყობილნი საქართველოს ნატოში მიღების მიმართ. გერმანიამ, რომლის მოსახლეობა 81 მილიონს აღწევს, ავღანეთში მიმდინარე ნატოს სამშვიდობო ოპერაციაში 55 ჯარისკაცი დაკარგა, 4,9-მილიონიანმა საქართველომ კი – 32 მამაცი მეომარი. განსხვავება აშკარაა.

**ჩრდილოატლანტიკურმა ალიანსმა ამას წინათ მნიშვნელოვნად განამტკიცა თავისი ყოფნა საქართველოში – გაიხსნა სწავლებ-შეფასების ერთობლივი ცენტრი, თუმცა ნატომ უფრო უკეთ უნდა ისარგებლოს საქართველოს უნიკალური პერსპექტივებით ამ რთულ რეგიონში. საქართველოს რუსეთის აგრესიული მოქმედების მწარე გამოცდილება აქვს. საქართველო ესაზღვრება მშფოთვარე თურქეთს, თბილისი ავითარებს კავშირებს ირანთანაც. ამ ქვეყნებთან საქართველოს ურთიერთობის გაღრმავების რამდენიმე შესაძლებლობა არსებობს – სადაზვერვო მონაცემების პერსპექტიული გაზიარებისა და კონტრდაზვერვითი ოპერაციების ჩათვლით.**

რუსეთი აცხადებს, რომ საქართველოს სწრაფვა ნატოში გაწევრიანებისათვის მოსკოვის წინააღმდეგ მიმართულ პროვოკაციას წარმოადგენს. რუსეთის უარყოფითმა რეაქციამ ნატოს ზოგიერთი წევრი დაარწმუნა იმაში, რომ საქართველოს ნატოში მიღების საკითხი უნდა გადადებულიყო. ამასთან, ჩრდილოატ-

# მძიმე გიორგობა საოკუპაციო გამყოფ ხაზთან

**ძარელი**ს მუნიციპალიტეტის სოფელ ატოცის მცხოვრები ძმები გიორგი და კონსტანტინე გაბარაევები დე ფაქტო რესპუბლიკის სასამართლომ ოთხდღიანი პატიმრობის შემდეგ გაათავისუფლა. გაბარაევები რუსეთის მესაზღვრეებმა სოფლის განაპირას დააკავეს და ეგრეთ წოდებული საზღვრის უკანონოდ გადაკვეთის ბრალდება წაუყენეს.

ატოცის მიმდებარე ტერიტორიაზე ისინი შეშას აგროვებდნენ. კონსტანტინე გაბარაევი ამბობს, რომ შეშის შეგროვებისას მესაზღვრეები შენიშნა, დაკავების შემდეგ კი აღმოაჩინა, რომ საოკუპაციო ხაზი რამდენიმე ნაბიჯით გადაეკვეთა. დაკავებულები ჯერ ერთ-ერთ სამხედრო ბაზაზე გადაიყვანეს, შემდეგ კი დე ფაქტო რესპუბლიკის უშიშროების სამსახურის წარმომადგენლებს გადასცეს და ცხინვალის იზოლატორში წაიყვანეს.

ოჯახის წევრებმა მომხდარი სამართალდამცავებს აცნობეს, ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიამ კი დაკავებულთა გასათავისუფლებლად ცხელი ხაზი აამოქმედა და ოს სამართალდამცავებთან მოლაპარაკება გამართა. კონსტანტინე გაბარაევის მეუღლის ნინო ბაციკაძის თქმით, საქმეში ცხინვალელი ნათესავებიც ჩაერთვნენ და 2000-რუბლიანი ჯარიმა მათ გადაახდევინეს.

გორის მუნიციპალიტეტის სოფლების ჯარიაშენის, ახალუბნის და აძვის მცხოვრებნი წმინდა გიორგის სახელობის სალოცავში ვერ წავიდნენ. ეკლესია საოკუპაციო გამყოფ ხაზთან მდებარეობს, რუსეთის მესაზღვრეები იქ მუდმივად პატრულირებენ, შარშან ამ დროს კი რამდენიმე ადამიანი დააკავეს. სალოცავების გარდა, ადგილობრივ მცხოვრებლებს ნათესავების საფლავებზე გასვლაც ეზღუდებათ.

საოკუპაციო გამყოფ ხაზთან მოქალაქეებს ძირითადად საძოვრებზე საქონლის გადარეკვისას ან სოფლის განაპირას შეშის დამზადებისას აკავებენ ხოლმე. მიუხედავად იმისა, რომ გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლები გაზიფიცირებულია, ადგილობრივი მოსახლეობა მაინც შეშის შეგროვებას ანიჭებს უპირატესობას, რადგან ბუნებრივი აირის გადასახადი მაღალია. კონფლიქტის ზონაში მცხოვრებ ადამიანებს სახნავ-სათეს ფართობებზე წვდომაც შეეზღუდათ. ამ სოფლებში სოციალური მდგომარეობა სულ უფრო უარესდება — უსაფრთხოება გარანტირებული არ არის და ამიტომ დაწყებულია ახალგაზრდების მიგრაცია.

საოკუპაციო გამყოფი ხაზის სოფლებში საძოვრების შემცირების გამო მეცხოველეობის განვითარებაც შეუძლებელია. მოსავლიანობაც შემცირებულია, რადგან ხშირად სარწყავი წყლის პრობლემა იქმნება.

კონფლიქტის ზონაში მცხოვრები მოქალაქეები ხელისუფლებას მეტ ყურადღებას სთხოვენ. მათი აზრით, საოკუპაციო გამყოფ ხაზთან სპეციალური პროგრამები თუ არ ამოქმედდა, სოფლები მთლიანად დაიცლება.

**გოგა აფციაური**

# რუსეთის ქმედებები მიმართულია ქვეყნის ფაქტობრივი ანექსიისკენ

**რუსეთი**ს ქმედებები მიმართულია საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიების ფაქტობრივი ანექსიისკენ — ეს განცხადება საგარეოს საქმეთა მინისტრობის კანდიდატმა მიხეილ ჯანელიძემ აფხაზეთში რუსეთის მხრიდან შეიარაღებული ძალების გაერთიანებული დაჯგუფების შექმნის შესახებ ე.წ. შეთანხმების რატიფიცირების ფაქტის კომენტირებისას გააკეთა.

**„ეს ე.წ. შეთანხმება, რომელიც გაფორმდა და რომლის რატიფიცირებაც მოახდინა რუსეთის ფედერაციამ, არღვევს საერთაშორისო სამართლის ყველა ნორმას, 2008 წლის აგვისტოს ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმებას და იგი წარმოადგენს ფაქტობრივი ანექსიის პროცესის ნაწილს. ჩვენ ვმუშაობთ საერთაშორისო თანამეგობრობასთან ერთად ყველა შესაბამის ფორმატში, ყველა დიპლომატიური გზის გამოყენებით, რათა მოხდეს ჩვენი ტერიტორიების დეოკუპაცია და მშვიდობიანი გზით კონფლიქტის დარეგულირების შესაძლებლობების გაჩენა“,** — განაცხადა ჯანელიძემ

# საქართველოში

ლანტიკური ალიანსის წინა სამიტებზე არაერთხელ იქნა აღნიშნული, რომ საქართველოს მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს დასავლეთის უსაფრთხოების უზრუნველყოფის საქმეში და მას ნატოში სრულფასოვანი გაწევრიანების იმედი უნდა ჰქონდეს. ახლა მოქმედების დრო დადგა. **დასავლეთის უსაფრთხოების ინტერესები უკმაყოფილო რუსეთის მძევალი არ უნდა გახდეს.**

რუსეთის არმია კვლავ აგრძელებს საქართველოს ტერიტორიის 20%-ის ოკუპირებას, რომელიც მოსკოვმა ხელში 2008 წელს განხორციელებული სამხედრო თავდასხმის შედეგად ჩაიგდო. რუსეთის განვითარების იმპერიული კონცეფცია, რომელიც უკრაინის კუთვნილ ყირიმსაც მოიცავს, დასავლური ფასეულობებისა და უსაფრთხოებისადმი შეუთავსებებლია.

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიების (აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის) დაბრუნებისაკენ მიმართული დისკუსიები მაინცდამაინც შედეგიანი არაა, მხოლოდ მცირე პროგრესი შეიმჩნევა. ამასობაში კი რუსეთის ჯარები ნელ-ნელა, ჩუმ-ჩუმად სწევენ ე.წ. საზღვარს საქართველოს ტერიტორიის სიღრმეში. ამერიკის შეერთებულმა შტატებმა მოლაპარაკებებზე თავისი ავტორიტეტი უნდა გამოიყენოს, რათა ზემოთ აღნიშნული საკითხები გადაიჭრას და მზად უნდა იყოს ისეთი ზომების მისაღებად, რომლებიც რუსეთისთვის ზარალის მომტანი იქნება, საქართველოს ტერიტორიების ოკუპაციის გამო.

**დრო, ამერიკის შეერთებულმა შტატებმა საქართველოს მნიშვნელობა აღიაროს და თბილისი რეგიონის სტრატეგიის დაგეგმვის აქტიურ მონაწილედ აქციოს. საქართველოზე ხომ ენერგორესურსების ტრანსპორტირების ძირითადი მარშრუტი გადის, რომლის მეშვეობით კასპიის ნავთობი და გაზი აშშ-ის ევროპელ მოკავშირეებს მიეწოდება. საქართველო ბარიერის როლს ასრულებს ახლოაღმოსავლელი ჯიჰადისტების ნაკადის წინააღმდეგაც. გარდა ამისა, საქართველო, უეჭველია, მნიშვნელოვანი ფიგურაა ნატოს სტრატეგიაში, რომელიც შავ ზღვაზე უსაფრთხოების განმტკიცებას და რუსული ავანტიურიზმისადმი „ახალი ევროპის“ წინააღმდეგობას გულისხმობს.**

იმავდროულად ამერიკის შეერთებულმა შტატებმა აქტიურად უნდა შეუწყოს ხელი „აღმოსავლეთ-დასავლეთის“ ახალი სატრანსპორტო დერეფნების განვითარებას, რომლებშიც საქართველო და საერთოდ, კავკასია ცენტრალურ როლს ასრულებს. შავიზღვისპირა ქართული ნავსადგურები მიიღებენ და გაგზავნიან ტვირთებს (ნედლეულს) აზიიდან ევროპისაკენ და ევრაზიის კონტინენტის ყველა ნაწილს ერთმანეთთან დააკავშირებენ. ამჯამად ამერიკული კომპანია ანაკლიაში ისეთ ღრმა ნავსადგურს აშენებს, რომელიც ყველაზე დიდი ტონაჟის მქონე სატვირთო გემების მიღების შესაძლებლობას იძლევა, საქართველო პატარა ქვეყანაა, მაგრამ მისი მნიშვნელობა განსაკუთრებულია — ის იმ საყრდენისა (და ხიდის) როლს ასრულებს, რომელიც ევროპისა და აზიის ეკონომიკურ სისტემებს ერთმანეთთან აკავშირებთ.

ყველა ამ მიზეზის გამო შეერთებულმა შტატებმა უნდა იმოქმედოს და საქართველოსთან თავისი ვალდებულება გააღრმაოს არა როგორ ფილანთროპული (საქველმოქმედო) აქტის სახით, არამედ აშშ-ის სასიცოცხლო ინტერესების საფრთხისაგან დაცვის მიზნით. ქართველებმა აჩვენეს, რომ მათ სახელმწიფოს ნორმალური მართვა, დემოკრატიის განვითარება და დასავლური ფასეულობებისადმი ერთგულება შეუძლიათ, ურთულესი პრობლემების არსებობისა და (ერთმანეთთან) უთანხმოების პირობებშიც კი. საქართველო ჩვენი მოკავშირეა, რომელიც გვჭირდება და მას უნდა მივესალმოთ.

**მოგვაწოდა „ნიუსპრესმა“**

**დონალდ რამსფელდი** — აშშ-ის თავდაცვის მინისტრი 1975-77 წლებში (ჯერალდ ფორდის პრეზიდენტობის დროს) და 2001-2006 წლებში (ჯორჯ ბუშ-უმცროსის ადმინისტრაციაში). იგი ავტორია წიგნებისა „მემუარები: ცნობილი და უცნობი“ და „რამსფელდის წესები“. ამჟამად ექსმინისტრი მისივე სახელობის ორგანიზაციას — „რამსფელდის ფონდს“ ხელმძღვანელობს.

„The Wall Street Journal“ (აშშ)

ნოვა NOVA
კრედიტი CREDIT

24.11.2016 — ს3-04

24 ნოემბერი 2016 წ

## შპს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია „ნოვა კრედიტის“ დირექტორის მელორი ასათიანის მიმართვა

**ქ-ნ ნანული ჯაფარიძეს პ/ნ: 01008048708 (მსესხებელს)**
**თბილისი, შ.ნუცუბიძის ქ. № 23**

**მოგესალმებით ქ-ნო ნანული,**

გაცნობებთ, რომ შპს მიკროსაფინანსო ორგანიზაცა „ნოვა კრედიტსა“ და თქვენს შორის 2015 წლის 06 ნოემბერს გაფორმებული, ნომერი: **111594322** საკრედიტო ხელშეკრულების, 2015 წლის 06 ნოემბერს გაფორმებული ნომერი: 151222582 იპოთეკის ხელშეკრულების პირობები დარღვეულია, კერძოდ, საკრედიტო ხელშეკრულების ნომერი: **111594322**-ის დანართში მითითებული გრაფიკის მიხედვით აღნიშნული სესხი 2016 წლის 06 ოქტომბრიდან იმყოფება ვადაგადაცილებაში. თანახმად ზემოაღნიშნული ხელშეკრულებისა, 2016 წლის 24 ნოემბრის მდგომარეობით მოვითხოვთ არსებული დავალიანების უკან დაბრუნებას მაქსიმუმ 5 სამუშაო დღის ვადაში, წინააღმდეგ შემთხვევაში მივმართავთ ნოტარიუსს სააღსრულებო ფურცლის ასაღებად იპოთეკის საგნის რეალიზებისთვის და შპს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია „ნოვა კრედიტის“ თანხის უკან დაბრუნებისთვის საჭირო ზემოაღნიშნული ხელშეკრულებებით და კანონით განსაზღვრულ ყველა ღონისძიებას.

პატივისცემით,

**მიკროსაფინანსო ორგანიზაცია შპს „ნოვა კრედიტის“**
**დირექტორი მელორი ასათიანი**

**მინდობილი პირი, საკრედიტოს დირექტორი**
**გიორგი დოლიძე (პ/ნ 01009003259)**

**პასუხისმგებელი ოფიცერი**
**დავით ძისტაური**

**ტელ: 2 340 940**
**მობ: 595 08 08 68**

ნოვა NOVA
კრედიტი CREDIT

24.11.2016 — ს3-03

24 ნოემბერი 2016 წ

## შპს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია „ნოვა კრედიტის“ დირექტორის მელორი ასათიანის მიმართვა

**ბ-ნ ირაკლი ჯაფარიძეს პ/ნ: 01010012430 (უზრუნველყოფის მესაკუთრე)**
**თბილისი, შ.ნუცუბიძის ქ. № 23**

**მოგესალმებით ბ-ნო ირაკლი,**

გაცნობებთ, რომ შპს მიკროსაფინანსო ორგანიზაცა „ნოვა კრედიტსა“ და ნანული ჯაფარიძეს პ/ნ: 01008048708 შორის 2015 წლის 06 ნოემბერს გაფორმებული, ნომერი: **111594322** საკრედიტო ხელშეკრულების, 2015 წლის 06 ნოემბერს გაფორმებული ნომერი: 151222582 იპოთეკის ხელშეკრულების პირობები დარღვეულია, კერძოდ, საკრედიტო ხელშეკრულების ნომერი: **111594322**-ის დანართში მითითებული გრაფიკის მიხედვით აღნიშნული სესხი 2016 წლის 06 ოქტომბრიდან იმყოფება ვადაგადაცილებაში. თანახმად ზემოაღნიშნული ხელშეკრულებებისა, 2016 წლის 24 ნოემბრის მდგომარეობით მოვითხოვთ არსებული დავალიანების უკან დაბრუნებას მაქსიმუმ 5 სამუშაო დღის ვადაში, წინააღმდეგ შემთხვევაში მივმართავთ ნოტარიუსს სააღსრულებო ფურცლის ასაღებად იპოთეკის საგნის რეალიზებისთვის და შპს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია „ნოვა კრედიტის“ თანხის უკან დაბრუნებისთვის საჭირო ზემოაღნიშნული ხელშეკრულებებით და კანონით განსაზღვრულ ყველა ღონისძიებას.

პატივისცემით,

**მიკროსაფინანსო ორგანიზაცია შპს „ნოვა კრედიტის“**
**დირექტორი მელორი ასათიანი**

**მინდობილი პირი, საკრედიტოს დირექტორი**
**გიორგი დოლიძე (პ/ნ 01009003259)**

**პასუხისმგებელი ოფიცერი**
**დავით ძისტაური**

**ტელ: 2 340 940**
**მობ: 595 08 08 68**

◎ რაგბი

# 19 წლის ლომკაცები...

**უკვე ტრადიციად იქცა – 23 ნოემბერს „ბორჯღალოსნები“ თამაშს აუცილებლად იგებენ და გიორგობა დღეს ქართველ ერს ლამაზ საჩუქარს უძღვნიან. ეს ტრადიცია უმცროსმა „ბორჯღალოსნებმა“ ამჯერადაც გააგრძელეს. ისინი 19-წლამდელ შოტლანდიელებს ბრიტანული ტურნეს მეორე მატჩისთვის ესტუმრნენ და 21:17 დაამარცხეს მასპინძლები.**

ორივე ნაკრები 2017 წლის 20-წლამდელთა მსოფლიო ჩემპიონატისთვის ემზადება, რომელიც 31 მაისიდან 18 ივნისის ჩათვლით თბილისსა და ქუთაისში გაიმართება. ორივე გუნდი 18 და 19 წლამდე ასაკის მორაგბეებით იყო დაკომპლექტებული. მასპინძელთა თხოვნით მატჩს 19-წლამდელთა დაპირისპირება დაერქვა, რის გამოც შერკინებაში მიწოლა არ ყოფილა.

ტურნეს პირველი მატჩი უმცროსმა „ბორჯღალოსნებმა“ 19 ნოემბერს ჩრდილოეთ ირლანდიაში, ალსთერის თანატოლთა გუნდის წინააღმდეგ გამართეს და 27:12 იმარჯვეს, ახლა კი ბევრად უფრო ძლიერ მოწინააღმდეგეს სძლიეს.

„უმცროსთა“ საქმიანად და გასამხნევებლად ედინბურგში, მეგეთლენდის სპორტული კომპლექსის მოედანზე ჩატარებულ მატჩს უფროსი „ბორჯღალოსნები“ და სამწვრთნელო შტაბი დაესწრო. „უფროსებმა“ იმავე დღეს აიღეს გლაზგოსკენ გეზი და 26-ის თამაშისთვის იქ განაგრძობენ მზადებას. უმცროს „ბორჯღალოსნებს“ ქომაგობდნენ საქართველოს რაგბის კავშირის პრეზიდენტი გოჩა სვანიძე და ვიცე-პრეზიდენტი გიორგი გორგასლიძე, ასევე, „ბორჯღალოსანთა“ ყოფილი მთავარი მწვრთნელი რიჩი დიქსონი.

თამაში კარგი სანახავი გამოდგა და ანგარიში გელა აფრასიძის ჯარიმით გავხსენით, ხოლო აკაკი ტაბუცაძემ ლელო დაამიწა და ტაიმი 8:0 დასრულდა. მეორე ტაიმში შოტლანდიამ ინიციატივის დაუფლება მოახერხა. უმცროსი „ბორჯღალოსნები“ ორჯერ დაისაჯნენ სინბინით და მეტოქემ დაწინაურება შეძლო, თუმცა, მერე ყველაფერი დალაგდა როგორც დაცვაში, ასევე შეტევაში და ლამაზი და დინამიური იერიშის შედეგად, რომელშიც მორკინალებთან ერთად ხაზის მოთამაშეებიც მონაწილეობდნენ, დავით მესხმა ლელო დაამიწა.

მესამე ლელო შეცვლაზე შესული ბექა მამუკაშვილის ანგარიშზეა, ხოლო საბოლოო შედეგი ჯარიმით თედო აბჟანდაძემ დააფიქსირა – 21:17. დასკვნით წუთებში შოტლანდია გამარჯვების ლელოს დადებას შეეცადა, ჩვენს 22-ში და ლელოს ხაზიდან 5-მეტრში დიდი მონდომებით უტია, თუმცა, გაუვალ დაცვას წააწყდა.

ამრიგად, ბრიტანული ტურნე „უმცროსმა ბორჯღალოსნებმა“ ორი მოგებით დაასრულეს და შინ კარგ ხასიათზე ბრუნდებიან. კონკრეტულად ამ თამაშით და ზოგადად ტურნეთი კმაყოფილია გუნდის მთავარი მწვრთნელი **ილია მაისურაძე:**

**„სასიამოვნოა, ბრიტანული ტურნე ასე კარგად რომ დავასრულეთ. დასკვნითი თამაშის დებიუტი მძიმე გამოდგა, თუმცა, დაცვაში აგრესიულად და სტაბილურად თამაშის ხარჯზე უპირატესობა მოვიპოვეთ, მეტოქის შეცდომები გამოვიყენეთ და სასურველ შედეგს მივაღწიეთ.**

**შეცდომები ჩვენც გვქონდა. ამ ტურნეს მიზანი სწორედ ის იყო, რომ სუსტი წერტილები აღმოგვეჩინა და მსოფლიოს ჩემპიონატამდე მათ გამოსწორებაზე გვეზრუნა. მეორე ტაიმში სინბინით ორჯერ დავისაჯეთ და ამან დაგვასუსტა, მეტოქემ სამი ლელოს დადება მოახერხა, თუმცა, ბოლოს დავლაგდით და თამაში ღირსეულად დავასრულეთ. ტურნემ დაგვანახა, რომ გუნდში 9 და 10 ნომრების პრობლემა არ გვაქვს. ამ ბიჭებს თამაშის გაძღოლა შესანიშნავად შეუძლიათ“.**

**ვიტალი ჯაფარიძე**

◎ ტყვიის სროლა

# ჩუბინთა რუმინული ნადავლი

**ქართველმა ტყვიის მსროლელებმა წარმატებით იასპარეზეს რუმინეთის ქალაქ იასიში დასრულებულ „ჩემპიონთა თასზე“, სადაც 3 მედალი დაისაკუთრეს: 1 „ვერცხლი“ და ორი „ბრინჯაო“. შეჯიბრება მხოლოდ პნევმატური პისტოლეტიდან სროლაში გაიმართა.**

ოლიმპიურმა ჩემპიონმა ნინო სალუქვაძემ საკვალიფიკაციო ეტაპზე 378 ქულით მეორე შედეგი აჩვენა, შემდეგ ფინალშიც სტაბილურად იასპარეზა და ბრინჯაოს მედალი დაისაკუთრა.

წარმატებით გამოვიდნენ ახალგაზრდებიც. გოგონების კვალიფიკაციაში ლიზი კილაძეც მეორე იყო 376 ქულით, ფინალში კი ისიც მესამე ადგილს დასჯერდა. ვაჟებში აკაკი მოსულიშვილი (549 ქულა) მერვე შედეგით შევიდა ფინალში, ხოლო იქ მეორე ადგილზე გავიდა. ლევან ქადაგიძე მეხუთე იყო.

2-6 დეკემბერს თბილისში ნინო სალუქვაძის სახელობის ტირი შოთა ქველიაშვილის სახელობის თასის გათამაშებას უმასპინძლებს. შეჯიბრებაში მასპინძლებთან ერთად აზერბაიჯანისა და სომხეთის გუნდებიც (ეს უკანასკნელი – პირველად) გამოვლენ.

**გივი გაგუა**

◎ კრივი

# ჭილლაძე ნახევარფინალშია

**სანკტ-პეტერბურგში დასასრულს უახლოვდება 19 წლამდელ მოკრივეთა მსოფლიოს პირველობა, რომელშიც 75 ქვეყნის 400-ზე მეტი სპორტსმენი ჩაება, მათ შორის ექვსი – საქართველოს წარმომადგენელი. ჩვენებურთაგან წარმატებით ასპარეზობს მძიმე წონაში ახალგაზრდებს შორის ევროპის 2016 წლის ბრინჯაოს პრიზიორი გიორგი ჭილლაძე. პირველ წრეში მან ფინელ ანტი ლეხმუსვირპის სძლია, მეორეში ჩეხი ტომაშ სალეკი დაამარცხა, მეოთხედფინალში დაძაბული პაექრობის შემდეგ ყაზახი ალბოლდი დაურენული ჩამოიშორა გზიდან (3:2) და ნახევარფინალში გავიდა, რითაც, სულ მცირე, მსოფლიოს პირველობის ბრინჯაოს მედალი გაინაღდა. დღეს ქართველი მოკრივე ჰეს რამან ტიაფაკს (გერმანია) შეხვდება. ამ უკანასკნელმა უკრაინელი ვიაჩესლავ ჰავრილიუკი დაჯაბნა. მეორე ნახევარფინალში რიჩარდ ტორესი (აშშ) და ჯასტის ჰუნი (ავსტრალია) გაარკვევენ ერთმანეთთან ურთიერთობას. ფინალი 26 ნოემბერს გაიმართება.**

მსოფლიოს ახალგაზრდული ჩემპიონატის მონაწილე საქართველოს ნაკრების დანარჩენი წევრები - სახილ ალახვერდიევი (49 კგ), ოთარ ნავერიანი (56), ესკერხან მადიევი (64), არტიომ იორდანიანი (81) და ნიკოლოზ ბეგაძე (91) შეჯიბრებას ნაადრევად დაემშვიდობნენ.

**ლექსო ცინცაძე**

◎ ფეხბურთი

# აქეთურ - იქითური

**დავით ყიფიანის სახელობის ეროვნული თასის გათამაშების ფინალური მატჩი. ქუთაისის „ტორპედო“ – მარტვილის „მერანი“ 2:1. ეს რიონისპირელთა მესამე სათასო ტრიუმფია.**

* * *

ჩემპიონთა ლიგის ჯგუფური რაუნდის V ტური.

**„ა“ ჯგუფი.** „არსენალი“ – „პარი სენ-ჟერმენი“ 2:2, „ლუდოგორეცი “ – „ბაზელი“ 0:0.

„პარი სენ-ჟერმენი“, „არსენალი“ – 11-11, „ლუდოგორეცი“, „ბაზელი“ – 2-2 ქულა.

**„ბ“ ჯგუფი.** „ნაპოლი“ – „დინამო“ (კიევი) 0:0, „ბეშიქთაში“ – „ბენფიკა“ 3:3.

„ბენფიკა“, „ნაპოლი“ – 8-8, „ბეშიქთაში“ – 7, „დინამო“ (კიევი) – 2 ქულა.

**„გ“ ჯგუფი.** „სელტიკი“ – „ბარსელონა“ 0:2, „გლადბახი“ – „სიტი“ 1:1.

„ბარსელონა“ – 12, „სიტი“ – 8, „გლადბახი“ – 5, „სელტიკი“ – 2 ქულა.

**„დ“ ჯგუფი.** „როსტოვი“ – „ბაიერნი“ 3:2, „ატლეტიკო“ – „ეინდჰოვენი“ 2:0.

„ატლეტიკო“ – 15, „ბაიერნი“ – 9, „როსტოვი“ – 4, „ეინდჰოვენი“ – 1 ქულა.

**„ე“ ჯგუფი.** „მონაკო“ – „ტოტენჰემი“ 2:1, ცსკა – „ლევერკუზენი“ 1:1.

„მონაკო“– 11, „ლევერკუზენი“ – 7, „ტოტენჰემი“ – 4, ცსკა – 3 ქულა.

**„ვ“ ჯგუფი.** „დორტმუნდი“ – „ლეგია“ 8:4(!), „სპორტინგი“ – „რეალი“ 1:2.

„დორტმუნდი“ – 13, „რეალი“ – 11, „სპორტინგი“ – 3, „ლეგია“ – 1 ქულა.

**„ზ“ ჯგუფი.** „ლესტერი“ – „ბრიუგე“ 2:1, „კოპენჰაგენი“ – „პორტუ“ 0:0.

„ლესტერი“ – 13, „პორტუ“ – 8, „კოპენჰაგენი“ – 6, „ბრიუგე“ – 0 ქულა.

**„თ“ ჯგუფი.** „სევილია“ – „იუვენტუსი“ 1:3, „დინამო“ (ზაგრები) – „ლიონი “ 0:1.

„იუვენტუსი“ – 11, „სევილია“ – 10, „ლიონი “ – 7, „დინამო“ (ზაგრები) – 0 ქულა.

**გიორგი ზოთაძე**

◎ ჭადრაკი

# აკი, გავმიჯნოთ სპორტი და პოლიტიკაო?..

**ყირიმის დაბრუნებით ვაჟთა საჭადრაკო გვირგვინსაც ვიბრუნებთო – ამაყად აცხადებენ გარკვეული რუსული პოლიტიკური და მათი შოვინისტური იდეოლოგიის რუპორებად ქცეული ჟურნალისტური წრეების წარმომადგენლები.**

მოგეხსენებათ, ნიუ-იორკში დასასრულს მიუახლოვდა მსოფლიოს ჩემპიონობისთვის მებრძოლი უკვე ორგზის გვირგვინოსანი ნორვეგიელის მაგნუს კარლსენისა და სიმფეროპოლელი პრეტენდენტის სერგეი კარიაკინის სატიტულო მატჩი, რომლის ფავორიტადაც სკანდინავიელი დიდოსტატი მიიჩნეოდა, მაგრამ...

ზედიზედ შვიდი ყაიმის შემდეგ მერვე პარტიის მოგებით ნახევარკუნძულელი სენსაციურად დაწინაურდა – 4,5:3,5 და ჰაერში სენსაციის სუნი დატრიალდა.

მას შემდეგ, რაც მეტოქენი მეცხრე პარტიაშიც დაზავდნენ, მდგომარეობა უცვლელი დარჩა – 5:4.

შეგახსენებთ, რომ სულ 12 პარტია უნდა გათამაშდეს.

**კობა კობახიძე**

◎ ინტერნეტიდან

# ნერეიდა ჯერ კიდევ ახსოვთ

**იყო დრო, ესპანელი მოდელი ნერეიდა გალიარდო კრიშტიანუ რონალდუს სარეცელს ჰაი-ჰაი რომ მშვენივრად ავსებდა და როდესაც ნერეიდა პორტუგალიელი სუპერმეგოლის გულისწორი იყო, მაშინ ამ ქალის პოპულარობა ზენიტში იყო, რაც რონალდუს გულისწორთა თანმდევი სიამეა.**

ახლა ვერ ვიტყვით, რომ ნერეიდას პოპულარობა ძალიან გაუფასურდა, მაგრამ ისე აღარ „ქრის მისი მერანი“ და ეს უპირველეს ყოვლისა, იმაში გამოიხატება, რომ ევროპის ბულვარული ჟურნალების ყდებზე სულ სხვა ასულები ყელყელაობენ და „სხვა ხალხის ისმის აქ ჟრიამული“.

ამ ყველაფერზე ნერეიდა გალიარდო ამბობს, რომ არაფერია ამ ცხოვრებაში მარადიული გიგი წერეთლის პარლამენტარობის გარდა და მისთვის მთავარი ისაა, რომ საკუთარი საქმე ჯერ კიდევ კარგად გამოსდის. რაც მართალია, მართალია, გამოსდის და მერე როგორ!...

**როსტომ რაჭველიშვილი**

◎ საბანკო სექტორი

# „ძალით სიყვარულის“ ჟამი

**საქართველოში ბანკების გამსხვილების პროცესი უსწრაფესი ტემპით მიმდინარეობს: 2017 წლის 1 იანვრიდან მათი რიცხვი ბოლო 20 წლის მანძილზე რეკორდულად დაბალი იქნება და 16-ს შეადგენს. აქამდე ეს ერთგვარი რეკორდი 2006 წელს იყო დაფიქსირებული, როცა ქვეყანაში 17 კომერციული ბანკი მოქმედებდა.**

ბოლო ხანია საქართველოში კომერციული ბანკების ოდენობის კლების მდგრადი ტენდენცია შეიმჩნევა: ორ წელიწადში ბაზარზე ხუთი კომბანკი აღარ მოქმედებს, ვინაიდან ისინი უფრო ძლიერმა კონკურენტებმა შთანთქეს. ეს პროცესი ამჟამად კვლავაც გრძელდება: მართალია, ეროვნული ბანკის ოფიციალური მონაცემებით, საქართველოს კომერციული ბანკების ჩამონათვალში ჯერ კიდევ ირიცხება „ბანკი რესპუბლიკა“, თუმცა კი წლის დამლევამდე მას ქვეყნის ერთ-ერთი უდიდესი „თიბისი ბანკი“ შთანთქავს და კომბანკების ნუსხა 16-მდე შემცირდება. აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ, არსებული ინფორმაციით, „თიბისი ბანკს“ კიდევ უფრო კარგი მადა აქვს და ერთი კომბანკის შეძენასაც გეგმავს, რაც სამამულო საფინანსო ბაზარს მეტად შეამცირებს.

თავად კომერციული ბანკების ოდენობის შემცირებასთან ერთად იკლებს მათი ფილიალების რიცხვიც, თუმცა კი, ამავდროულად, მატულობს მომსახურების ცენტრების რიცხოვნობა. ოქტომბრის დამდეგისთვის საქართველოში 17 კომერციული ბანკის 142 ფილიალი და 813 სერვის-ცენტრი მოქმედებდა.

ჯერ კიდევ ორი ათეული წლის წინათ საქართველოში 61კომერციული ბანკი და მათი 242 ფილიალი მუშაობდა, მაგრამ შემდგომ მოვლენები კალეიდოსკოპური სისწრაფით განვითარდა და სულ რაღაც ხუთ წელიწადში კომბანკების რიცხვი სამ ათეულამდე ჩამოვიდა. ეს ტენდენცია შემდგომშიც გაგრძელდა და ერთ ხანს მეტ-ნაკლებად მყარ პოზიციას 19 ადგილობრივი და ორი უცხოური ბანკის ფილიალი ინარჩუნებდა.

ბოლო დროს კი, არა მარტო შედარებით მცირე და სუსტ, არამედ ქვეყნის მასშტაბით საშუალო კომერციულ ბანკებსაც გაუჭირდა, ამდენად, როგორც ჩანს, საქართველოში საბანკო სექტორში გამსხვილების პროცესი ახლა აღმავლობის გზაზეა. როგორც აღვნიშნეთ, „ბანკი რესპუბლიკა“, ამჟამად „თიბისი ბანკთან“ „შერწყმის“ პროცესშია, რომელმაც მანამდე „პროგრეს ბანკი“ „ჩაიხუტა“, უფრო წინ კი ბანკი „კონსტანტა“ გადასანსლა. „ტაო პრივატ ბანკი“ თავის დროზე „საქართველოს ბანკის“ ლუკმა გახდა, მადას არც VTB უჩივის... მოკლედ, ფინანსური წყაროს თავს შემომსხდარი დევები კარგ მადაზეც არიან და სუფრაც საუფროსო აქვთ გაშლილი...

ფაქტობრივად, საქართველოს საბანკო სექტორში ისეთი კონკურენტული არაჯანსაღი ვითარებაა შემნილი, რომ დარგს განვითარების პერსპექტივა უაღრესად შეზღუდული აქვს. ექსპერტთა უმეტესობის აზრით, ოლიგოპოლიზებული კომერციული საბანკო სექტორი საშუალო და, მით უმეტეს, პატარა-პატარა ბანკების სამოღვაწეო არეალს იმდენად ზღუდავს, რომ მათი გაკოტრებებისა და „მტაცებლების“ მიერ შთანთქმის პროცესები კიდევ უფრო მეტად გაძლიერდება და უახლოეს მომავალში, ქვეყანაში მათი საერთო ოდენობა 60-70 პროცენტით შემცირდება. ეს კი იმას ნიშნავს, რომ, სავარაუდოდ, 1,5-2 წელიწადში, საბანკო სექტორში დღეს მოქმედი დაახლოებით ყოველი მესამე ბანკი დარჩება.

ისიც უნდა ითქვას, რომ ამ პროცესის შეჩერება მხოლოდ ეროვნულ ბანკს შეუძლია, რადგან ამის ძალა მხოლოდ მას შესწევს გონივრული პოლიტიკის გატარებით, თუმცა კი, ასევე საექსპერტო შეფასებებით, იმ პირობებში, როცა მისი თავკაცი აცხადებს, რომ ისტორიულ მინიმუმამდე ლარის გაუფასურებაში საგანგაშო ბევრი არაფერია, სტატისტიკის ეროვნული სამსახური კი, სულაც ამ ფონზე... ფასთა კლებაზე გვამცნობს, ამის იმედი ნაკლებად უნდა გვქონდეს.

**ოთარ ტურაბელიძე**

◎ ჩვენი კვება

# სმა-ჭამა დიდად შესარგი...

**ბევრ ჩვენგანს, ალბათ, სმენია: ადამიანს ჭამა რომ არ უნდოდეს, არც რევოლუციები იქნებოდა, არც ომები. სინამდვილეში როგორ იქნებოდა საქმე, ძნელი სათქმელია, უფრო მეტად რეალური ის ვარიანტი ჩანს, რომ ერთმანეთთან დავის მიზეზი კაცთა მოდგმას მაინც არ დაელოდა, მაგრამ საკვები ჩვენს ცხოვრებაში უდიდეს როლს რომ ასრულებს, ამას ბევრი მტკიცება არ სჭირდება. საჭმელია ყველაფერი, რაც ენერგიის მარაგის შესავსებად და ნივთიერებათა ცვლის ქიმიური რეაქციების ნორმალურად წარმართვის გამოდგება.**

საჭმელი, როგორც ვიცით, შეიძლება იყოს მცენარეული წარმოშობის — მარცვლეული, კაკალი, ბოსტნეული, ხილი და ცხოველური — ხორცი, ზღვისა და რძის პროდუქტები, მწერები, ასევე სოკოები და წყალმცენარეები. ყოველდღიურად ადამიანი 3-5-ჯერ უნდა იკვებებოდეს, საჭმლის კალორიულობა კი დღეში ფიზიკური შრომით დაკავებული მამაკაცისთვის 4500, ხანდაზმულთათვის კი 2000 კალორია უნდა იყოს.

კვების ზოგიერთი პროდუქტი ჩვენზე სამკურნალოდ მოქმედებს, მათ შორის ნიორი, მდოგვი, პირშუშხა — კარგი ტკივილგამაყუჩებლებია, ბანანი და ცხიმიანი თევზი სკუმბერი — დეპრესიისგან გვიცავენ, შოკოლადი კი კარგ გუნებაზე გვაყენებს.

აზიის მრავალი ქვეყნის მოსახლეობისთვის ჩვეული საკვები ევროპელთათვის ეგზოტიკას წარმოადგენს, მათ შორისაა შემწვარი ობობები, იხვის ჩანასახიანი კვერცხი, რომელიც ნაყოფის სითხიანად უმად იჭმევა, იხვისავე ნისკარტი, გველის ხორცის მწვადი, შემწვარი ვირთაგვა. ყველაზე დიდი კერძია შემწვარი აქლემი, რომელიც დატენილია ერთი ცხვრით, 20 ქათმით, 60 კვერცხით და ბედუინების სუფრაზე მხოლოდ დიდ დღესასწაულებზე მოაქვთ.

ზოგიერთი, მათ შორის საკვებზე ალერგიის, კუჭ-ნაწლავის, შაქრის დიაბეტით, სიმსუქნით, თირკმლების დავადების დროს, გარკვეული პროდუქტების შეხამებით მკურნალობა, ანუ დიეტოთერაპია, განკურნვის მთავარი მეთოდია.

მე-19 საუკუნის შუა ხანებამდე რესტორნებში ყველა შეკვეთილი კერძი ერთად მოჰქონდათ — მომსახურების ამ ხერხს „ფრანგული სისტემა“ ეწოდება. 1830-იან წლებში კი რუსმა თავადმა ალექსანდრე კურაკინმა ფრანგ რესტორატორებს კერძების თანდათან, მათი მენიუში განთავსების ადგილისდა მიხედვით ასწავლა. ეს სისტემა ამჟამად ყველაზე მეტადაა პოპულარული და მას „სერვისი რუსულად“ ეწოდება.

**მოამზადა**
**დალი ხუნდაძემ**

# კორუფციის ბარომეტრი - რატომ აღარ პროგრესირებს საქართველო საერთაშორისო რეიტინგებში

**„TRANSPARENCY INTERNATIONAL“-ის საქართველოს ოფისში სოციალური კვლევის „კორუფციის გლობალური ბარომეტრი“ შედეგების პრეზენტაცია გაიმართა. კვლევამ 42 სახელმწიფო მოიცვა. მისი შედეგები საკმაოდ პარადოქსულია: ერთი მხრივ, საქართველო, რეგიონის ქვეყნებთან და აღმოსავლეთ ევროპის სახელმწიფოების უმრავლესობასთან შედარებით, კორუფციის ყველაზე დაბალი მაჩვენებლის დემონსტრირებას ახდენს, ხოლო მეორე მხრივ, გამოკითხული მოქალაქეების 41% უკმაყოფილოა ხელისუფლების ძალისხმევით ქვეყანაში კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის მიმართულებით.**

„Transparency International“-ის საქართველოს ოფისის ხელმძღვანელ ეკა გიგაურის განცხადებით კვლევა ორგანიზაციის ცენტრალური ოფისის მონაწილეობით ჩატარდა:

**„სხვა რეიტინგებისგან განსხვავებით, ეს ქვედა დონის კორუფციას სწავლობს.** Transparency International**-ის ბერლინის ოფისის მიერ ჩატარებული კვლევის ფარგლებში ევროპისა და ცენტრალური აზრიის 42 სახელმწიფოში 60 ათასზე მეტი ადამიანი გამოიკითხა. მოქალაქეებმა ასევე შეაფასეს ადგილობრივი მთავრობების ძალისხმევის ეფექტურობა კორუფციასთან საბრძოლველად. შედეგად შეგვიძლია იმის კონსტატირება, რომ საქართველომ „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ გატარებული ანტიკორუფციული რეფორმების მემკვიდრეობითობა შეინარჩუნა“.**

კვლევის შედეგების თანახმად, მოქალაქეების 12% კორუფციას 3 უმნიშვნელოვანეს პრობლემას შორის ერთერთად მიიჩნევს. ეს შედეგობრივად მეოთხე მაჩვენებელია. მეზობლებს ბევრად უარესი მდგომარეობა აქვთ: აზერბაიჯანში კითხვას დადებითი პასუხი გამოკითხულთა 21%-მა გასცა, თურქეთში — 22%-მა, სომხეთში — 37%-მა, რუსეთში — 39%-მა, უკრაინაში — 56%-მა.

რაც შეეხება სახელმწიფო ინსტიტუტებში კორუფციის დონეს,

არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლის ერეკლე ურუშაძის ინფორმაციით, გამოკითხულთა 7% ამბობს, რომ სახელმწიფო მოხელეებისთვის ქრთამის მიცემა მოუწია. ეს 2013 წელთან შედარებით, მცირედით გაუარესებული მაჩვენებელია: მაშინ კითხვას დადებითი პასუხი მხოლოდ 4%-მა გასცა:

**„ნიშანდობლივია, რომ კვლევის შედეგების თანახმად, მოქალაქეთა 41% ამ მიმართულებით ხელისუფლების ძალისხმევას არასაკმარისად მიიჩნევს. და ამას თავისი ახსნა აქვს. ქვედა დონეზე კორუფციის ფაქტობრივი აღმოფხვრის მიუხედავად, რესპონდენტები თვლიან, რომ ზედა დონეზე იგი შენარჩუნებულია და მის აღმოსაფხვრელად არასაკმარისი ნაბიჯები იდგმება. ამდენად, ჩვენი რეკომენდაციები მიმართულია პროკურატურის პოლიტიკური ზეწოლისგან გათავისუფლებაზე, რადგან სწორედ მის მოვალეობებში შედის კორუფციასთან დაკავშირებული საქმეების გამოძიება. მიზანშეწონილად ვთვლით ასევე ეფექტური და ძლიერი ანტიკორუფციული სამსახურის შექმნას“.**

ინფორმაციის თავისუფლებისა და განვითარების ინსტიტუტის პროგრამების კოორდინატორ ლევან ავალიშვილის განცხადებით, საქართველო, რომელმაც ამ ასპარეზზე შთამბეჭდავ წარმატებებს მიაღწია, საერთაშორისო რეიტინგებში აღარ პროგრესირებს და მიუხედავად ქვედა დონეზე კორუფციის დაბალი მაჩვენებლისა, მოქალაქეებს არ სჯერათ, რომ ელიტური კორუფციაც აღმოიფხვრა:

**„არ არსებობს ქვეყნები, სადაც კორუფცია სრულად არის აღმოფხვრილი და საქართველო ამ მხრივ გამონაკლისს არ წარმოადგენს. გარკვეული წარმატებები, რომელიც ამ კუთხით ქვედა დონეზეა მიღწეული, დამშვიდების საფუძველს არ გვაძლევს. კორუფცია ხომ მარტო მექრთამეობა არ არის, იგი მოიცავს ძალაუფლების საშუალებით ბიზნესის ლობირებასაც, ნეპოტიზმსაც, სახელმწიფო ჩინოსების გულგრილობასაც, სასამართლო სისტემაზე ზეწოლასაც. ვალდებულებები, რომელიც საქართველომ ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმებით იკისრა, მართვის სისტემის რეფორმირებასაც მოიცავს კორუფციის ყველა, მათ შორის ელიტური სახეობის აღმოსაფხვრელად“.**

ე.წ. პანამის დოსიესთან დაკავშირებულმა ამასწინანდელმა სკანდალმა თვალსაჩინოდ მოახდინა იმის დემონსტრირება, რომ ამ დრომდე რჩება საზოგადოებისგან მალული უამრავი მაქინაცია, რომელსაც სახელმწიფო მოხელეები კანონის გვერდის ავლით ახორციელებენ, — თვლის ექსპერტი.

EKHOKAVKAZA

# წუწკი როლანდ ჩხიტუნიძე... გაეცა!

**„სახელმწიფო** უსაფრთხოების სამსახურის ანტიკორუფციული სააგენტოს თანამშრომლებმა ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, ქრთამის აღების ფაქტზე ადიგენის მუნიციპალიტეტის გამგებლის წარმომადგენელი ბოლაჯურის ადმინისტრაციულ ერთეულში როლანდ ჩხიტუნიძე დააკავეს.

გამოძიებამ დაადგინა, რომ როლანდ ჩხიტუნიძემ მოქალაქეს საქონლის ყალბი წარმომავლობის ცნობის დამზადების სანაცვლოდ ქრთამის სახით მოსთხოვა და გამოართვა 2000 ლარი, რა დროსაც იგი ბრალდებულის სახით დააკავეს.

გამოძიება ქრთამის აღების ფაქტზე მიმდინარეობს (საქართველოს სსკ-ს 338-ე მუხლის 1 ნაწილით, რაც სასჯელის სახით ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას ვადით 6 დან 9 წლამდე). გამოძიებას სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ანტიკორუფციული სააგენტო აწარმოებს.“

# მეტროსადგურ „უნივერსიტეტის“ მშენებლობას KOBRA ASSIGNIA ასორციელებს



**საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს მუნიციპალური განვითარების ფონდს ოფიციალური ვიზიტით აზიის განვითარების ბანკის მისია ეწვია. აღნიშნული ვიზიტის ფარგლებში მუნიციპალური განვითარების ფონდის აღმასრულებელმა დირექტორმა ჯუანშერ ბურჭულაძემ და აზიის განვითარების ბანკის წარმომადგენლებმა მეტროსადგურ „უნივერსიტეტის“ სარეაბილიტაციო სამუშაოები მოინახულეს.**

თბილისის მეტროპოლიტენის 23-ე მეტროსადგურის მშენებლობა 22 წლის განმავლობაში დაკონსერვებული პროექტი იყო. თბილისის მეტროს მეორე ხაზის მშენებლობის დასრულება მოქალაქეებს სწრაფი და უსაფრთხო გადაადგილების საშუალებას მისცემს. ახალი მეტროსადგური განტვირთავს მიწისზედა სატრანსპორტო ნაკადებს და მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს ურბანული ტრანსპორტის განვითარებას.

პროექტის ფარგლებში აღდგება არსებული გვირაბები, საერთო სიგრძით 2,6 კმ., მოეწყობა სადგურის მიწისქვეშა და მიწისზედა ნაგებობები, გაკეთდება მეტროდან ამოსასვლელები და სალიანდაგო ხაზები, მოეწყობა ელექტრო ქვესადგური, ესკალატორები, სავენტილაციო და სადრენაჟე სისტემები, ასევე, სიგნალიზაციის მართვისა და ხანძარსაწინააღმდეგო სისტემები. გაკეთდება სათადარიგო ამოსასვლელები.

ობიექტზე სამშენებლო სამუშაოებს ტენდერში გამარჯვებული ესპანური ერთობლივი საწარმო „KOBRA ASSIGNIA“ ახორციელებს.

# საუკეთესო ტურისტული ქვეყანა

**ჟურნალ** National Geographic Traveler-ის **დაჯილდოების ცერემონიალზე საქართველო 2016 წლის საუკეთესო ტურისტულ მიმართულებად დაასახელეს**. ელექტრონული ხმის მიცემა National Geographic-ის რუსულენოვან საიტზე www.nat-geo.ru 8 სექტემბრიდან 6 ნოემბრის ჩათვლით გრძელდებოდა. ნომინაციაში „წლის აღმოჩენა“ 19 ქვეყანა მონაწილეობდა. გამოვლინდა 3 ფინალისტი: საქართველო, შრი-ლანკა და ირანი. ხმების 18%-ით საქართველომ პირველი ადგილი დაიკავა. დაჯილდოების ცერემონიალი მოსკოვში გაიმართა, პრიზი საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის საკონვენციო და საგამოფენო ბიუროს თანამშრომელს ამირან ივანიძეს გადასცეს. National Geographic Traveler-ის გასტრონომიული ტურიზმის ნომინაციაში საქართველომ მეორე ადგილი დაიკავა. პირველ ადგილზე გასულმა ჩინეთმა ხმების 18% მიიღო, საქართველომ კი 17.9% მე-3 ადგილი იტალიამ დაიკავა.

## ◎ ანეკდოტები

**ისე, კაცმა რომ თქვას, სამართალი ნაღდად არსებობს: ადრე თუ გვიან, ყველანი, ვინც მისი სწამს, საკუთარი სისულელის გამო მაინც დაისჯებიან.**

* * *

**აკადემიკოსი** პავლოვი თავის ცნობილ ცდებს ძაღლებზე იმიტომ აკეთებდა, რომ უფრო მეტად კატები და ბაყაყები უყვარდა.

* * *

**თავისი** ბუნებით ადამიანი არა მარტო უაღრესად გულკეთილია, არამედ ძალიან მორიდებულიც. **სწორედ ამიტომაცაა, რომ პრაქტიკულ ცხოვრებაში თავისი გულკეთილობა ცდილობს, არ გამოამჟღავნოს.**

* * *

**დილის ავტობუსში:**

**— ქალიშვილო, თქვენ გათხოვილი ხართ?**

**— არა, ბატონო, უბრალოდ დილით თვალების დახატვა ვერ მოვასწარი...**

* * *

**ზოოპარკში:**

**— მარჯვნივ თქვენ ხედავთ მამრ გორილას, მარცხნივ — მდედრს. გასაგებია.**

**— გასაგებია. თვითონ გორილა სადღაა?**

* * *

**— უსაკვებოდ** კაცს შეუძლია მთელი თვე იცოცხლოს!

**— კი, შეუძლია, მაგრამ აზრი?**

**— უაზროდ კი კაცმა მთელი**

# იცხოვრეთ ქალაქგარეთ...



**გამწვანებულ ზონებში ხალხი მეგაპოლისების მცხოვრებლებზე დიდ ხანს ცოცხლობს.**

სიმწვანეში ცხოვრება, აუმჯობესებს ადამიანთა ფსიქიკურ მდგომარეობას, აიძულებს ცხოვრების აქტიური წესის მიყოლას, თავს არიდებს დაბინძურებულ ჰაერს, ხმაურსა და ჭარბი განათებით დაბინძურებას, რომლებიც უარყოფითად მოქმედებენ ჯანმრთელობაზე.

# შვილი ტანკენარი რომ გაგეზარდოთ

**ჭარბი** წონის აკრეფის ყველაზე დიდი საშიშროების წინაშე არიან ბავშვები, რომლებსაც სიმკაცრისა და ყოველგვარი აკრძალვების პირობებში ზრდიან, აცხადებენ ამერიკელი ფსიქოლოგები.

ზედმეტი კილოგრამით დამძიმების შანსი ასეთ პატარებს მათი არსობრივი ჯგუფის საშუალო მაჩვენებელზე ხუთჯერ მეტი აქვთ. ამასთან, აღსანიშნავია ისიც, რომ სარგებელი ამ ბავშვისთვის თავის ნებაზე მიშვებას მოაქვს: ზომაზე მეტად დამთმობი მშობლების შვილებს ჭარბი წონა ორჯერ უფრო ხშირად აქვთ, ვიდრე ზოგადად მათ თანატოლებს.

სპორტული აღნაგობის, ტანადი შვილის აღზრდა ყველაზე მეტად რეალურია იმ შემთხვევაში, თუკი მშობლები ყოფაში ეგრეთ წოდებულ „პასუხისმგებლობის სტილს“ ამკვიდრებენ: ისინი ბავშვის ყოფაქცევას ფხიზლად კი აკონტროლებენ, ოღონდ მის მოთხოვნებსა და სურვილებსაც გულისყურით ეკიდებიან.

# ფესტივალიც ასეთი უნდა!

**მოგეხსენებათ, კაცობრიობას უამრავი ალკოჰოლიანი სასმელი აქვს „მოგონილი“, ყველა კონტინენტზე, რეგიონში, ქვეყანასა თუ მის ცალკეულ კუთხეში ბუნებრივი პირობების, გეოგრაფიული მდგომარეობის შესაფერისი და შესაბამისი სასმელი აქვს. და, მიუხედავად ამისა, ალკოჰოლიანი სასმელებიდან ყელაზე მეტად მსოფლიოში ლუდს მოიხმარენ, რომელიც პოპულარობით მესამე ადგილზეა წყლისა და ჩაის შემდეგ.**

„ლუდი“ — ასე ეწოდება მარცვლეულ საფუძველზე დამზადებულ ალაოს ყველა სპირტიან სასმელს, მათ შორის პორტერსა და სთაუტს, რომელიც დადუღების გარეშე მიიღება. ის მსოფლიოში უძველესი სასმელია და, როგორც ვარაუდობენ, მისი მიღება ჯერ კიდევ ნეოლიტის ეპოქაში, ჩ. წ.აღ.-მდე 8500-იან წლებში ისწავლეს. ლუდი საუცხოო აპერეტივია, რომელიც მადას აძლიერებს, ის მდიდარია B ჯგუფის ვიტამინებით, თუმცა კი ორგანიზმის დღეღამურ მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად საჭიროა ამ სასმელის 10 ლიტრის დალევა. ღია ლუდი 3,7-5 პროცენტ ალკოჰოლს შეიცავს და დიდად ამცირებს სექსუალურ ლტოლვას, როგორც მამაკაცებში, ისე ქალებში. ლუდის ჭარბად მსმელ მამაკაცებში იკლებს ტესტოსტერონის გამომუშავება, რის შედეგად ტანი ქალის ტიპისაზე გადაეწყობა — ეზრდება მკერდი და თეძოები.

მსოფლიოში ყველაზე დიდი ლუდის ფესტივალი — „ოქტობერფესტი“ — 1827 წლიდან მიუნჰენში 17 სექტემბრიდან 2 ოქტომბრამდე ტარდება და მასში მონაწილეობის მისაღებად მთელი მსოფლიოდან 6 მილიონ კაცზე მეტი ჩადის(!) სულ ამჟამად იქ ლუდის 400-ზე მეტი სახეობა არსებობს, საშუალოდ, სტატისტიკურად კი წელიწადში ყველაზე მეტ ამ სასმელს კაცზე — 161 ლიტრს — ჩეხები სვამენ.

## განცხადება

იყიდება დიდი დიღმის პირველ მიკრორაიონში, კლინიკა „იმედიდან“ ორასიოდე მეტრში მდებარე მიწის ნაკვეთი, რომელიც კაპიტალური გალავნით არის შემოღობილი და სხვადასხვა სახეობის ასამდე მსხმოიარე ნარგავითაა განაშენიანებული. ყველა კომუნიკაცია (გაზი, დენი, კანალიზაცია) ჭიშკართანაა მიყვანილი, წყალი კი შეყვანილია. ნაკვეთის ფართობია 1250 კვ. მეტრი. შეიძლება ნახევრის ყიდვაც. ფასი — შეთანხმებით. ტელ.: 598 51 81 35; 599 16 81 71; 599 11 19 11.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
სულხან-საბას ქ. №3

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ძოგულია
293-13-34
599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;
რუსლან რუსია
599 17-21-21;

პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება გამომცემლობა „კოლორში“
რკინიგზის ჩიხი №20

uac(უაკ)070.4(479.22)
ს—323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

**ავტორთა საყურადღებოდ!**

**რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.**

**„საქართველოს რესპუბლიკა“ შენი გაზეთია, აუცილებლად გამოიწერე, იყიდე, წაიკითხე!**

**უცხოური ვალუტის კურსი:**
აშშ დოლარი - 2.4978; ევრო - 2.6602;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.1183;
100 რუბლი - 3.9310; თურქული ლირა - 0.7446;
აზერბაიჯანული მანათი - 1.4384;
1000 სომხური დრამი - 5.2092.

**ამინდი 25 ნოემბრისთვის**

| | | |
|---|---|---|
| **აღმოსავლეთი საქართველო:** | | |
| ბარი - | ღამე -8, | დღე +8 |
| მთიანი რაიონები - | ღამე -11, | დღე +6 |
| **დასავლეთი საქართველო:** | | |
| ბარი - | ღამე 0, | დღე +15 |
| მთიანი რაიონები - | ღამე -5, | დღე +14 |
| **თბილისი:** | ღამე -2, | დღე +6 |

**დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:**
ტელ: 293-13-34, 599-79-76-79
WWW.SAKRESP.GE